ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო

SOS CHILDREN'S VILLAGES GEORGIA

unicef

Crossing borders in service and support of children and families

საერთაშორისო ორგანიზაცია "ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი"

საერთაშორისო ორგანიზაცია „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" წარმოადგენს ქოლგა ორგანიზაციას, რომელშიც მსოფლიოს მასშტაბით „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის" 130-ზე მეტი ეროვნული ასოციაციაა გაერთიანებული. „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" ბავშვზე ორიენტირებული არასამთავრობო და არარელიგიური ორგანიზაციაა, რომელიც მიტოვების რისკის წინაშე მყოფ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს სხვადასხვა მომსახურებით უზრუნველყოფს და აქტიურად მოღვაწეობს ბავშვთა ზრუნვის, განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით. ბავშვებისათვის ადეკვატური ზრუნვის უზრუნველსაყოფად, ორგანიზაცია ხელს უწყობს ბავშვთა აღმზრდელების, ოჯახებისა და თემის პროფესიულ განვითარებას.

„ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" ხელს უწყობს მიტოვების რისკის წინაშე მყოფ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების უფლებების დაცვას. ორგანიზაცია დაარსდა 1949 წელს. იგი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების თანახმად მოქმედებს.

www.sos-childrensvillages.org

საერთაშორისო სოციალური სამსახური (ISS)

საერთაშორისო სოციალური სამსახური (sos) დახმარებას უწევს მიგრაციისა და იძულებით გადაადგილების შედეგად სოციალური პრობლემების წინაშე მყოფ პირებს, ბავშვებსა და ოჯახებს. საერთაშორისო სოციალური სამსახური საერთაშორისო არამომგებიანი ორგანიზაციაა. იგი 1924 წელს დაარსდა და მას მერე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 140 ქვეყანაში ფუნქციონირებს და 50 000-ზე მეტ ადამიანს ემსახურება.

საერთაშორისო სოციალურმა სამსახურმა გაშვილების სხვადასხვა მიმართულებით განსაკუთრებული გამოცდილება შეიძინა. უფრო ზოგადად, ეს გამოცდილება და კომპეტენცია უკავშირდება ბავშვთა მიტოვების, ინსტიტუციურ დაწესებულებებში მოთავსების პრევენციის, ბილოგოგიური ოჯახის განვითარების, შვილობილობაში მყოფი ბავშვების დახმარებისა და ინსტიტუციურ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების ზრუნვის საკითხებს.

www.iss-ssi.org

შინაარსი

4 წინასიტყვაობა
5 შესავალი

ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო

6 I. მიზანი
6 II. ზოგადი პრინციპები და პერსპექტივები
ბავშვი და ოჯახი
ალტერნატიული ზრუნვა
სახელმძღვანელოს გამოყენების ხელშემწყობი ღონისძიებები
10 III. სახელმძღვანელოს მასშტაბები
11 IV. ალტერნატიული ზრუნვის საჭიროების პრევენცია
- მშობელთა მზრუნველობის ხელშეწყობა
- ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენცია
- ოჯახის რეინტეგრაციის ხელშეწყობა
15 V. ზრუნვის უზრუნველყოფის სქემა
16 VI. ზრუნვის ყველაზე მართებული ფორმის განსაზღვრა
18 VII. ალტერნატიული ზრუნვა
პოლიტიკა
- არაფორმალური ზრუნვა
- ფორმალური ალტერნატიული ზრუნვის ღონისძიებების ზოგადი წესები
- სამართლებრივი პასუხისმგებლობა ბავშვზე
- ფორმალურ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი უწყებები და დაწესებულებები
- შვილობილობა
ინსტიტუციური დაწესებულება
შემოწმება და მონიტორინგი
ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვების შემდგომი მხარდაჭერა
26 VIII. ზრუნვა სამშობლოდან იმიგრირებულ ბავშვებზე
ზრუნვის მისაღებად ბავშვის საზღვარგარეთ გადაყვანა
საზღვარგარეთ მყოფ ბავშვზე ზრუნვის უზრუნველყოფა
28 X. ზრუნვა საგანგებო მდგომარეობის დროს
სახელმძღვანელოს პრინციპების გამოყენება
ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენცია
მზრუნველობის ფორმები
ოჯახის მოკვლევა და რეინტეგრაცია

31 სასარგებლო გმულები

წინასიტყვაობა

მსოფლიოში მილიონობით მიტოვების რისკის წინაშე მყოფი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვია. მათი ყოფა სავსეა ისეთი პრობლემებით, რომელთა შედეგებიც ზრდასრულ ასაკშიც დაღს ასმევს მათ ცხოვრებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების მონიტორინგის დროს, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გააცნობიერა, რომ ის პრობლემები, რომლის წინაშე ეს ბავშვები და ოჯახები ყოველდღიურად დგანან არ არის სათანადოდ გააზრებული და გათვალისწინებული სხვადასხვა პოლიტიკის დაგეგმვისა და მათი პრაქტიკული განხორციელებისას.

ბავშვთა უფლებებსა და რეალურ ცხოვრებაში ამ უფლების აღსრულებას შორის არსებული შეუსაბამობის გათვალისწინებით და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, 2005 წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მოაწყო დისკუსია მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების თემაზე. დისკუსიების შედეგად, კომიტეტმა შეიმუშავა და გამოსცა რეკომენდაციები, რომლითაც იგი მოუწოდებდა საერთაშორისო საზოგადოებას, ქვეყნებს, გაერთიანებული ერების სააგენტოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, დარგის სპეციალისტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და პროფესიულ ორგანიზაციებს შეემუშავებინათ საერთაშორისო სტანდარტები, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ სახელმწიფოები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისას.

შესაბამისად, კომიტეტი მიესალმება 2009 წლის 20 ნოემბერს, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მეოცე წლისთავზე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმის სახელმძღვანელოს აღიარების ფაქტს. ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს 2005 წელს კომიტეტის მიერ გაკეთებული მოწოდების, მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით 5 წლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგს.

მსურს მადლობა გადავუხადო ბრაზილიის მთავრობას ჯგუფის შეკრების ორგანიზებისა და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელოს აღიარებისათვის განეული თავდაუზოგავი შრომისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი პარტნიორების, განსაკუთრებით ჟენევაში დაფუძნებული მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფის ღვაწლიც, ვინაიდან მათი მხარდაჭერის გარეშე სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ამ სამუშაოს შესრულება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის სახელით იმედს გამოვთქვამ, რომ ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელოში მითითებული რჩევები უდიდეს როლს შეასრულებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესრულების საქმეში. ამ სახელმძღვანელოს გამოცემა პირველი ნაბიჯია ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.

პროფესორი იანგ ლი
გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე

სეული, კორეა
2009 წლის 20 ნოემბერი

შესავალი

2009 წლის 20 ნოემბერს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20 წლისთავის აღსანიშნავად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო. ჩვენ, საერთაშორისო ორგანიზაცია "ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" და საერთაშორისო სოციალური სამსახური მივესალმებით ამ ახალ საერთაშორისო სქემას, რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების დაცვას მთელს მსოფლიოში და მილიონობით ბავშვს, ოჯახსა და თემს ცხოვრებას გაუუმჯობესებს. სახელმძღვანელოში აღნიშნული რეკომენდაციების გასავრცელებლად და განსახორციელებლად, წინამდებარე პუბლიკაციაში ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელოს ოფიციალური ტექსტი (გენერალური ასამბლეა A/HRC/11/L.13) და სახელმძღვანელოში მითითებულ ძირითად საკითხებზე არსებული კითხვებია წარმოდგენილი.

საფუძველი

ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელოს შემუშავება განაპირობა ბავშვთა უფლებებსა და რეალურ ცხოვრებაში ამ უფლებების აღსრულებას შორის არსებული შეუსაბამობის აღიარებამ. სწორედ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, საერთაშორისო საზოგადოება გაერთიანდა და შეიმუშავა ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო. ეს სახელმძღვანელო გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის, მთავრობების (ბრაზილიის მთავრობის ხელმძღვანელობით), გაეროს ბავშვთა ფონდის, ექსპერტებისა და მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რაც მთავარია, ბავშვზე ზრუნვის სფეროში გამოცდილი ახალგაზრდების ხუთწლიანი დისკუსიისა და მოლაპარაკების შედეგია.

ძირითადი პრინციპები

ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია სათანადო პოლიტიკისა და პრაქტიკის აუცილებლობა ორ ძირითად პრინციპთან მიმართებაში. ეს პრინციპებია: აუცილებლობა და შესაბამისობა. აუცილებლობის საფუძველია სურვილი, დავეხმაროთ ბავშვებს დარჩნენ საკუთარ ოჯახებში მშობელთა მზრუნველობის ქვეშ. ბავშვის ოჯახისგან დაშორება უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემთხვევის დეტალური შეფასება მოხდება. რაც შეეხება შესაბამისობას, ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო ალტერნატიული ზრუნვის ყველაზე მისაღებ ფორმებს წარმოგვიდგენს. თითოეულ ბავშვს, რომელსაც ალტერნატიული ზრუნვა ესაჭიროება, ინდივიდუალური საჭიროებები აქვს, მაგალითად, მოკლე ან გრძელვადიან მზრუნველობასთან ან და-ძმის ერთად ცხოვრებასთან დაკავშირებით. შერჩეული ზრუნვის ფორმა ინდივიდუალურ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული. ზრუნვის ალტერნატიული ფორმის შესაბამისობა რეგულარულად უნდა გადაიხედოს და შეფასდეს - რამდენად საჭიროა ალტერნატიული ზრუნვის უზრუნველყოფა ან ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება.

როგორ გამოვიყენოთ პუბლიკაცია

ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელოს თითოეულ ნაწილში მოცემულია ბავშვზე ზრუნვის ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული კითხვები. კითხვები ამომწურავი არაა და არც ოფიციალური ტექსტის ნაწილია. უბრალოდ მათი მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ძირითადი პრინციპების განხორციელებაზე გარკვეული დისკუსიის წარმოშობას და ანალიზს. სახელმძღვანელოში აღნიშნული მითითებები ბავშვებზე, მათ ოჯახებსა და თემებზე დადებით გავლენას იქონიებს, თუ დაწერილი პრინციპები ცხოვრებაში განხორციელდება. ჩვენი მიზანიც ესაა: სიტყვა საქმედ ვაქციოთ!

რიხარდ პიხლერი, გენერალური მდივანი,
საერთაშორისო ორგანიზაცია ეს-ო-ეს
ბავშვთა სოფელი



ჯინ აიოუბი, გენერალური მდივანი,
საერთაშორისო სოციალური სამსახური

ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო

I. მიზანი

1 წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების განხორციელებას, რომლებიც მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დაცვას და კეთილდღეობას უკავშირდება.

2 აღნიშნული საერთაშორისო ინსტრუმენტების, ისე როგორც ამ სფეროში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოში ასახულია პოლიტიკისა და პრაქტიკის ყველაზე მისაღები მიმართულებები. სახელმძღვანელო ალტერნატიული ზრუნვის საკითხებთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ყველა სექტორისათვის არის განკუთვნილი. კერძოდ, სახელმძღვანელოს დანიშნულებაა:

(ა) ხელი შეუწყოს ბავშვის ოჯახში ცხოვრებას ან მის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას; თუ ეს არ ხერხდება, გამოიყენოს სხვა შესაბამისი და პრობლემის მოგვარების გრძელვადიანი საშუალებები, მათ შორის გაშვილება და კაფალა, ისლამური კანონმდებლობის შესაბამისად;

(ბ) პრობლემის მოგვარების გრძელვადიანი გზების ძიების პერიოდში და იმ შემთხვევაში, როცა ზემოაღნიშნული გამოსავალი მიუღწეველია ან არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვზე ზრუნვის ისეთი ალტერნატიული ფორმების იდენტიფიცირება და უზრუნველყოფა, რომლითაც ბავშვს ექნება საკუთარი თავის სრული და ჰარმონიული განვითარების საშუალება;

(გ) დაეხმაროს და სტიმული მისცეს მთავრობებს, კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გათვალისწინებით, ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით აღებული პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად;

(დ) მიმართულება მისცეს სოციალურ დაცვაზე და ბავშვთა კეთილდღეობაზე მომუშავე სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების, ისე როგორც სამოქალაქო საზოგადოების გადაწყვეტილებებს, პოლიტიკასა და ღონისძიებებს.

II. ზოგადი პრინციპები და პერსპექტივები

ა. ბავშვი და ოჯახი

3 რამდენადაც ოჯახი საზოგადოების ფუნდამენტურ ჯგუფს, ბავშვის განვითარების და კეთილდღეობის ყველაზე ბუნებრივ გარემოს წარმოადგენს, მთელი ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ბავშვს საშუალება მიეცეს თავის მშობლებთან ან, საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის სხვა წევრებთან იცხოვროს ან დაბრუნდეს საცხოვრებლად. ბავშვზე ზრუნვის დროს, ოჯახი სახელმწიფოსგან სხვადასხვა ფორმის დახმარებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი და ამ დახმარებაზე ხელი მიუწვდებოდეს.

4 თითოეულმა ბავშვმა და ახალგაზრდამ უნდა იცხოვროს მზრუნველ და დაცულ გარემოში, სადაც მას სრული განვითარების შესაძლებლობა ექნება. სათანადო მზრუნველობას ან ზოგადად ზრუნვას მოკლებულ ბავშვებს ასეთ გარემოში აღზრდის ნაკლები შანსი აქვთ.

5 როდესაც ბავშვის ოჯახს სათანადო მხარდაჭერის პირობებშიც არ შეუძლია ბავშვზე სათანადო ზრუნვა, და იმ შემთხვევაშიც, როცა ოჯახი ბავშვს ტოვებს ან უარს ამბობს მასზე, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები და უზრუნველყოს ალტერნატიული ზრუნვის შესაბამისი ფორმა ადგილობრივ ორგანოებთან და უფლებამოსილ სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად (ან მათი საშუალებით). სახელმწიფო ასევე ვალდებულია, უფლებამოსილი ორგანოების საშუალებით მეთვალყურეობა გაუწიოს ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის კეთილდღეობას, უსაფრთხოებასა და განვითარებას და მუდმივად გადახედოს უკვე არსებული ბავშვზე ზრუნვის ფორმის მართებულობას.

6 ყველა გადაწყვეტილება, ინიციატივა და მიდგომა, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს ფარგლებშია ასახული, ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული ცალკეული შემთხვევის დროს (ბავშვის უსაფრთხოების გათვალისწინებით და ბავშვის ინტერესებისა და უფლებების დაცვით). დაცული უნდა იყოს სახელმძღვანელოს შესაბამისობა დისკრიმინაციისა და გენდერულ საკითხებთან მიმართებაში. ყველა გადაწყვეტილება, ინიციატივა და მიდგომა უნდა ემყარებოდეს ბავშვის უფლებების პატივისცემას - გამოთქვას საკუთარი აზრი და ეს აზრი მისი განვითარების დონის შესაბამისად გაითვალისწინონ. ბავშვს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა საჭირო ინფორმაციაზე. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ბავშვებს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცეთ და სასურველი ინფორმაცია მათთვის სასურველ ენაზე მიეწოდოთ.

7 წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოყენების დროს უნდა განისაზღვროს ბავშვთა ინტერესები, რათა მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ან მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის, მათი საჭროებების შესაბამისი და უფლებათა დამცველი სამოქმედო გეგმა დადგინდეს. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ამ ბავშვების უფლებების დაცვას და ინდივიდუალურ განვითარებას ოჯახში, სოციალურ და კულტურულ გარემოში., ასევე, მათ სტატუსს როგორც გეგმის განსაზღვრის პერიოდში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. გეგმის განსაზღვრის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის უფლებები და გათვალისწინებულ უნდა იყოს მისი მოსაზრებები ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად.

8 სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის პოლიტიკა მათი საერთო სოციალური და საზოგადეობრივი განვითარების პოლიტიკის ფარგლებში. ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ალტერნატიული ზრუნვის ფორმის გაუმჯობესებას წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პრინციპების გათვალისწინებით.

9 ბავშვების ოჯახთან დაშორების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ სათანადო და კულტურული განსხვავებულობის შესაბამისი ღონისძიებები:

(ა) ისეთი ოჯახების დახმარება მზრუნველი გარემოს შექმნაში, რომელთა შესაძლებლობებიც შეზღუდულია შემდეგი ფაქტორებით: შეზღუდული შესაძლებლობები, ნარკოტიკზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულება; წარმომავლობის ან უმცირესობის მიკუთვნებულობის გამო არსებული დისკრმინაცია, კონფლიქტის რეგიონში ან ოკუპირებულ ზონაში ცხოვრება.

(ბ) სათანადო ზრუნვის უზრუნველყოფა მოწყვლადი ბავშვებისათვის, როგორებიც არიან ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვები, მიტოვებული ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, უკანონოდ შობილი ბავშვები, მიტოვებული ბავშვები, ემიგრანტი მუშების შვილები, თავშესაფრის მაძიებელი პირების შვილები და შიდსით ან სხვა სერიოზული დაავადებით დაავადებული ბავშვები.

10 განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ გადაიჭრას ბავშვის ან მისი მშობლების რაიმე სტატუსის გამო დისკრიმინაციის საკითხი. ასეთი სტატუსი შეიძლება იყოს სიღარიბე, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, სქესი, გონებრივი და ფიზიკური შეზღუდულობა, შიდსი ან სხვა რაიმე სერიოზული დაავადება, ქორწინების გარეშე შობილი ბავშვის სტატუსი, სოციალ-ეკონომიკური სტიგმა ან სხვა სტატუსი თუ გარემოება, რომელმაც შეიძლება ბავშვზე უარის თქმა, ბავშვის მიტოვება და/ან ბავშვის მშობლისაგან მოშორება გამოიწვიოს.

ბ. ალტერნატიული ზრუნვის ფორმა

11 ალტერნატიული ზრუნვის ფორმასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღებისას სასურველია, რომ ბავშვი რაც შეიძლება ახლოს იყოს თავის მუდმივ საცხოვრებელთან, რათა გაუადვილდეს ოჯახთან კონტაქტი და შესაძლო რეინტეგრაცია. ასევე, იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს მის განათლებას, კულტურულ და სოციალურ ყოფას.

12 ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში, მათ შორის, არაფორმალური ზრუნვაში მყოფ ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვისათვის სტაბილური ოჯახური გარემოს უზრუნველყოფისა და მისი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების მნიშვნელობას. ასევე, გასათვალისწინებელია ბავშვის კავშირი აღმზრდელებთან. ყოველი ამის პერმანენტულობა კი ერთ-ერთი ძირითად მიზნად უნდა იქნეს მიჩნეული.

13 ბავშვებს ყოველთვის და ნებისმიერ შემთხვევაში ღირსებითა და პატივისცემით უნდა მოვეპყრათ და დავიცვათ აღმზრდელის, თანატოლის თუ მესამე მხარის ძალადობის, უგულებელყოფისა და ყველა სახის ექსპლუატაციისგან.

14 ბავშვის ოჯახისგან მოშორება უკიდურეს ზომად უნდა იქნეს განხილული. ეს ღონისძიება, რამდენადაც შესაძლებელია, დროებითი და ხანმოკლე უნდა იყოს. ბავშვის ოჯახიდან მოცილების გადაწყვეტილების გადასინჯვა მუდმივად უნდა ხდებოდეს. ამ საკითხის მოგვარების ან მისი მიზეზების აღმოფხვრისთანავე უნდა მოხდეს ბავშვის მშობელთა მზრუნველობაში დაბრუნება ბავშვის ინტერესების დაცვით. გათვალისწინებული უნდა იყოს ქვემოთ, 48-ე პუნქტში მითითებული შეფასება.

აუცილებლობის პრინციპი

ეროვნული პოლიტიკისათვის, მოცემულ პრინციპს ცალსახად პრევენციული დანიშნულება გააჩნია. იგი წარმოაჩენს სათანადო სოციალური მომსახურების უზრუნველსაყოფად რესურსების გამოყოფის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ ბავშვების ოჯახისგან მოცილების რისკს გვაცილებს.

ეროვნული პოლიტიკა...

.. არის თუ არა ეროვნულ პოლიტიკაში მკაფიოდ განსაზღვრული, რომ ბავშვის ოჯახისგან მოშორება უკიდურესი ზომა უნდა იყოს და მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში განხორციელდეს?

.. განსაზღვრავს თუ არა ეროვნული პოლიტიკა იმას, რომ მხოლოდ სიღარიბე არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ოჯახიდან მოშორების და ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში გადაყვანის მიზეზად?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ოჯახის რესურსების შეფასებას სხვადასხვა კრიტერიუმის გამოყენებით, როცა დგინდება, რომ ბავშვს ოჯახში საფრთხე ემუქრება?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ოჯახის დახმარებას და სათანადო მომსახურებას ბავშვის მიტოვების პრევენციის მიზნით, ისე რომ ბავშვზე ზრუნვა ოჯახის ფარგლებშივე განხორციელდეს?

.. გარანტირებულია თუ არა ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში ის, რომ მშობლები და ბავშვები სრულად მიიღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიიღებენ სრულ ინფორმაციას თავიანთ უფლებებზე, განსაკუთრებით, ოჯახისგან ბავშვის მოცილების გადაწყვეტილების გაპროტესტების თაობაზე?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა მშობლებისათვის ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ სწავლებას და სხვა სახის დახმარებას?

...ეროვნული პოლიტიკა გარანტიას იძლევა, რომ მუდმივად მოხდება ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში ყოფნის საჭიროების გადასინჯვა და მისი ოჯახში დაბრუნების შესაძლებლობის შეფასება?

15 ფინანსური და მატერიალური გაჭირვება, ან ამ გაჭირვებასთან დაკავშირებული პირობები, ბავშვის მშობლებისგან მოცილების, მისი ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში გადაყვანის, რეინტეგრაციის დაბრკოლების გამართლება არ უნდა იყოს. ასეთი მდგომარეობა ოჯახისათვის სათანადო დახმარების საჭიროებას წარმოაჩენს.

16 ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველა სხვა უფლების დაცვას, განსაკუთრებით იმ უფლებებისა, რომელიც მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მდგომარეობას უკავშირდება. ასეთი უფლებებია განათლების, სამედიცინო და სხვა ძირითადი მომსახურების მიღების უფლება, იდენტურობის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების, ენის და საკუთრების დაცვის უფლება, ასევე, მემკვიდრეობის მიღების უფლება.

17 ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში გადაყვანისას, და-ძმა ერთმანეთს არ უნდა დავაშოროთ, თუ არ არსებობს მათზე ძალადობის რისკი ან სხვა რაიმე გამამართლებელი მიზეზი, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ნებისმიერ შემთხვევაში, ძალისხმევა უნდა გამოვიჩინოთ და-ძმების ერთმანეთთან კონტაქტის შესანარჩუნებლად (თუ ეს მათ სურვილსა და ინტერესს არ ეწინააღმდეგება).

18 ბევრ ქვეყანაში მზრუნველობას მოკლებული ბავშვების უმეტესობა არაფორმალური ზრუნვის ქვეშ იმყოფება. მათ ნათესავები და სხვა ახლობლები უვლიან. აღიარებენ რა ამ ფაქტს, სახელმწიფოებმა, მოცემული სახელმძღვანელოს მიხედვით, შესაბამისი გზები უნდა გამონახონ, რათა უზრუნველყონ ბავშვების კეთილდღეობა და დაცვა არაფორმალური ზრუნვის პირობებში. სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურულ, ეკონომიკურ, გენდერულ და რელიგიურ განსხვავებულობას და უზრუნველყონ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.

19 არცერთი ბავშვი არ უნდა ცხოვრობდეს კანონიერი მეურვის ან სხვა პასუხისმგებელი უფროსისა თუ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს დახმარებისა და დაცვის გარეშე.

20 ალტერნატიული ზრუნვის უზრუნველყოფა არ უნდა განხორციელდეს პროვაიდერების პოლიტიკური, რელიგიური ან ეკონომიკური მიზნების განხორციელების მიზნით.

21 ინსტიტუციურ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვის განთავსება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ასეთი ღონისძიება ყველაზე მართებულია, აუცილებელია და გამომდინარეობს ამა თუ იმ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან.

22 ექსპერტთა მოსაზრების თანახმად, მცირეწლოვანი, განსაკუთრებით სამ წელს ქვემოთ ასაკის ბავშვებისათვის, ალტერნატიული ზრუნვის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს ოჯახურ გარემოში. ამ პრინციპიდან

გამონაკლისი შეიძლება მოხდეს და-ძმების დაშორების თავიდან აცილების მიზნით და იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ინსტიტუციაში გადაყვანას საგანგებო მდგომარეობა მოითხოვს. ამ შემთხვევაშიც კი, წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული ბავშვის ინსტიტუციაში განთავსება შეზღუდული დროის განმავლობაში და დაიგეგმოს მისი ოჯახში რეინტეგრაცია ან ამისი ხანგრძლივი ზრუნვის უზრუნველყოფა ოჯახურ გარემოში.

23 ვინაიდან ინსტიტუციური სააღმზრდელო დაწესებულებები და ოჯახურ გარემოში განხორციელებული ზრუნვა ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით ერთმანეთს ავსებენ, როცა ინსტიტუციური დაწესებულებები მაინც რჩება, აუცილებელია ალტერნატივების შემუშავება საერთო დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის კონტექსტში, რათა საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახდეს ინსტიტუციის, როგორც ალტერნატიული ზრუნვის ფორმის გაუქმება. ამ მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ ბავშვის განვითარების შესაბამისი სტანდარტები, რათა უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, როგორიცაა ინდივიდუალური და მცირე საოჯახო ტიპის ზრუნვა. სწორედ ამ სტანდარტებთან მიმართებაში უნდა მოხდეს არსებული მომსახურების შესაბამისობის შეფასება. ახალი ინსტიტუციური სააღმზრდელო დაწესებულებების დაარსების ან დაარსების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული დეინსტიტუციონალიზაციის მიზანი და სტრატეგია, მიუხედავდ იმისა, სახელმწიფო დაწესებულებას იქნება ეს თუ - კერძო.

სახელმძღვანელოს გამოყენების ხელშემწყობი ღონისძიებები

24 იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა დროულად უზრუნველყონ წინამდებარე სახელმძღვანელოში აღნიშნული მითითებების დროული და ეფექტური განხორციელება, მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ყველა არსებული ადამიანური თუ ფინანსური რესურსი და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ თანამშრომლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის საკითხების გათვალისწინება ყველა იმ სამინისტროს სტრატეგიაში, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია აღნიშნული საკითხების მოგვარებაში.

25 წინამდებარე სახელმძღვანელოში მითითებული ღონისძიებების განსახორციელებლად, სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ საჭიროებები და მოითხოვონ შესაბამისი საერთაშორისო მხარდაჭერა. ასეთ მოთხოვნას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და თუ შესაძლებელი და მართებულია, სახელმწიფოებმა მათზე დადებითი რეაგირება უნდა მიიღონ. მოცემულ სახელმძღვანელოში აღნიშნული მითითებები მაქსიმალურად უნდა იქნეს ასახული თანამშრომლობის

შესაბამისობის პრინციპი

თუ ზრუნვის ალტერნატიული ფორმის გამოყენება გარდაუვალია და ბავშვის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, მოცემული სახელმძღვანელო ითვალისწინებს ზრუნვის ფორმისა და ხანგრძლივობის შესაფერის და სწორ შერჩევას ცალკეული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე, სტაბილურობისა და პერმანენტულობის ხელშეწყობას.

ეროვნული პოლიტიკა...

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვის სხვადასხვა ალტერნატიულ ფორმებს, რომლებიც შეესაბამება იმ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რომელსაც ზრუნვა და დაცვა სჭირდება?

..არის თუ არა ეროვნულ პოლიტიკაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული დეინსტიტუციონალიზაციის და ოჯახურ გარემოზე დაფუძნებული ან სხვა შესაბამისი ალტერნატიული ფორმების განვითარების ეროვნული გეგმა?

.. მომავალი მზრუნველების სათანადო შერჩევის მიზნით, ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს პოტენციური მზრუნველი პირების წინასწარ შემოწმებას?

.. ითვალისწინებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა იმას, რომ შესაბამისობის დადგენისას ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში და-ძმების ერთად განთავსება უნდა იყოს მიჩნეული?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს და მზრუნველ პირებს იმას, რომ ბავშვმა და ოჯახმა მონაწილეობა მიიღონ ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში ბავშვის განთავსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისე როგორც მათ დაგეგმვასა და განხილვაში?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა უფლებებზე დამყარებულ ისეთ სქემას, რომელიც ბავშვის უფლებების დაცვის ერთიან მიდგომაზეა დაფუძნებული, სადაც ზრუნვისა და დაცვის გარდა - განათლების, ჯანდაცვის, იდენტობის, რწმენის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებიც არის გათვალისწინებული?

პროგრამებში, რომლებიც თავიანთი მხრივ განვითარებისკენ არის მიმართული. სახელმწიფოსთვის დახმარების გაწევისას, უცხოურმა იურიდიულმა პირებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ისეთი ინიციატივისაგან, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილ დებულებებს ეწინააღმდეგება.

26 წინამდებარე სახელმძღვანელოში აღნიშნული არცერთი დებულება არ უნდა ახდენდეს იმაზე უფრო დაბალი სტანდარტების შექმნის წახალისებას, ვიდრე ეს ამა თუ იმ სახელმწიფოში არის დადგენილი, მათ შორის კანონდებლობით გათვალისწინებული სტანდარტებიც. ამავდროულად, უნდა მოხდეს წახალისება, რათა უფლებამოსილმა ორგანოებმა, პროფესიულმა ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა შეიმუშაონ წინამდებარე სახელმძღვანელოზე დაფუძნებული ეროვნული ან პროფესიული მითითებები.

III. სახელმძღვანელოს მასშტაბები

27 წინამდებარე სახელმძღვანელო ეხება 18 წელს ქვემოთ ასაკის ბავშვებზე ფორმალური ალტერნატიული ზრუნვის ფორმის სათანადო გამოყენებასა და პირობებს. მხოლოდ სათანადო მითითების შემთხვევაში, წინამდებარე სახელმძღვანელო არაფორმალური ზრუნვის ფორმებსაც მოიცავს, ითვალისწინებს რა გაფართოებული ოჯახისა და თემის მნიშვნელოვან როლს, ისე როგორც სახელმწიფოს ვალდებულებებს ყველა იმ ბავშვის განვითარებისათვის, რომელიც გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად, მშობელთა ან კანონიერი მეურვის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მიმართ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

28 წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული პრინციპები ეხება ასევე ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში უკვე გადაყვანილ ახალგაზრდებს და იმათაც, ვისაც გარდამავალ პერიოდში შემდგომი ზრუნვა ან დახმარება ესაჭიროება - შესაბამისი კანონით განსაზღვრული სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ.

29 წინამდებარე სახელმძღვანელოში აღნიშნული მიზნებისათვის და ქვემოაღნიშნულ 30-ე პუნქტში მითითებული გამონაკლისის გათვალისწინებით, შემდეგი განსაზღვრებები უნდა იქნეს გამოყენებული:

(ა) მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები: ყველა ბავშვი, რომელიც ნებისმიერი მიზეზის ან გარემოების გამო ღამით ერთ-ერთი მშობლის მზრუნველობას მაინც არის მოკლებული. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოში არ ცხოვრობენ ან საგანგებო მდგომარეობის მსხვერპლნი არიან, შეიძლება ვუწოდოთ:

(I) „მიტოვებული“, თუ მათზე არ ზრუნავს სხვა ნათესავი ან ზრდასრული ადამიანი, რომელსაც კანონის მიხედვით მათზე მზრუნველობისა და მეურვეობის პასუხისმგებ-ლობა ეკისრება;

(II) „მზრუნველ პირს მოშორებული“ - თუ ბავშვი მოშორებულია წინა კანონიერ ან ძირითად მზრუნველ პირს, მაგრამ მასზე სხვა ნათესავი ზრუნავს.

(ბ) ალტერნატიული ზრუნვა შეიძლება შემდეგი ფორმით არსებობდეს:

(I) ზრუნვის არაფორმალური ფორმა: ოჯახურ გარემოში უზრუნველყოფილი ნებისმიერი სახის ზრუნვა, როდესაც ბავშვს დროებით ან მუდმივ მზრუნველობას უწევენ ნათესავები ან მეგობრები (არაფორმალური ნათესაური მზრუნველობა) საკუთარი ინდივიდუალური რესურსების ფარგლებში, ბავშვის, მისი მშობლების ან სხვა პირის ინიციატივით, მაგრამ, არა ადმინისტრაციული, სამართლებრივი ორგანოს ან შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს დაკვეთით;

(II) ფორმალური ზრუნვის ფორმა: ოჯახურ გარემოში უზრუნველყოფილი ნებისმიერი სახის ზრუნვა, რომელიც დაუკვეთა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ან სამართლებრივმა ორგანომ; ასევე, ყველანაირი ზრუნვა, რომელიც ხორციელდება ინსტიტუციურ გარემოში, მათ შორის, კერძო დაწესებულებაში, იმის მიუხედავად, ზრუნვა ადმინისტრაციული/სამართლებრივი ჩარევის შედეგად ხდება თუ არა.

(გ) იმის მიხედვით, თუ რა ტიპის გარემოში ხორციელდება ზრუნვა, შეიძლება გამოვყოთ ალტერნატიული ზრუნვის შემდეგი ფორმები:

(I) ნათესაური მზრუნველობა: ოჯახურ გარემოზე დაფუძნებული ზრუნვის ფორმა, რომელიც ხორციელდება გაფართოებული ოჯახის ფარგლებში ან ოჯახის ახლო მეგობრების წრეში, რომლებსაც ბავშვი კარგად იცნობს. ასეთი სახის ზრუნვა შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური ტიპის;

(II) შვილობილობა: როცა ალტერნატიული ზრუნვის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ბავშვს ისეთ ოჯახურ გარემოში (მაგრამ არა ბიოლოგიური ოჯახში) მოათავსებს, რომელიც სათანადო შერჩევის, შეფასებისა და დამტკიცების შედეგად ბავშვისათვის შესაფერის ოჯახად მიიჩნევა;

(III) ოჯახის ჩამნაცვლებელი ან ოჯახური ტიპის მომსახურების სხვა ფორმები;

(IV) ზრუნვა ინსტიტუციურ გარემოში: მზრუნველობა, რომელიც უზრუნველყოფილია არა ოჯახური ტიპის გარემოში. მაგალითად, უსაფრთხოების ცენტრები, საგანგებო სიტუაციის დროს შექმნილი დროებითი ცენტრები და სხვა დროებითი ან გრძელვადიანი დიდი ზომის საღამზრდელო დაწესებულებები, მათ

შორის, ჯგუფებზე განკუთვნილი სახლები;

(V) ბავშვთა დამოუკიდებელი ტიპის საცხოვრებელი, რომლის ზედამხედველობა ხდება.

(დ) ალტერნატიულ ზრუნვაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან მიმართებაში:

(I) სააგენტო გულისხმობს სახელმწიფო ან კერძო ორგანოს და სამსახურს, რომელიც ბავშვებისათვის ალტერნატიული ზრუნვის უზრუნველყოფაზე მუშაობს;

(II) დაწესებულება გულისხმობს ინდივიდუალურ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებას, რომელიც ბავშვებისათვის დიდი ზომის ინსტიტუციურ საალმზრდელო დაწესებულებაში ბავშვის ზრუნვას უზრუნველყოფს.

30 წინამდებარე სახელმძღვანელოში აღნიშნული ალტერნატიული ზრუნვა არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:

(ა) არასრულწლოვანთა შესახებ გაეროს სტანდარტული მინიმალური წესებისა და თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანების დაცვის შესახებ გაეროს წესის თანახმად, 18 წელს ქვემოთ ასაკის იმ პირთა მდგომარეობას, რომლებსაც სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებით აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, ბრალდებული არიან კანონის დარღვევაში ან დამნაშავედ არიან ცნობილნი;

(ბ) მშვილებელი ოჯახის მიერ გაწეული მზრუნველობა ბავშვის ოფიციალური გაშვილების მომენტიდან, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში ითვლება, რომ ბავშვი უკვე მშობელთა მზრუნველობის ქვეშ იმყოფება.
თუმცა, სახელმძღვანელო მოიცავს გაშვილების წინა პერიოდს ან ბავშვის მომავალ მშვილებელ ოჯახში გადაყვანის საცდელ პერიოდს. სახელმძღვანელოში აღნიშნული მითითებები თანხვედრაშია იმ მოთხოვნებთან, რომლებიც ასეთი შემთხვევებისათვის სხვა საერთაშორისო კანონმდებლობაშია ჩამოყალიბებული;

(გ) არაფორმალური ღონისძიებები, როცა ბავშვი ნებაყოფლობით რჩება ნათესავებთან ან მეგობრებთან გაჯანსაღების ან სხვა მიზეზით, რომელიც განპირობებული არ არის მშობლების მიერ მასზე ზრუნვის ზოგადი უუნარობით ან სურვილის არ ქონით.

31 წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოყენება რეკომენდირებულია უფლებამოსილი ორგანოების და სხვა პირების მიერ ბავშვთა სახლებში, საავადმყოფოებში, გონებრივი და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილ ცენტრებში, ბანაკებში, სამუშაო და სხვა ადგილებში, სადაც ბავშვებზე ზრუნვა შეიძლება ხორციელდებოდეს.

მშობელთა მზრუნველობის ხელშეწყობა

აღიარებს რა სოციალური სამუშაოს პრევენციულ როლს, წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოაჩენს სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებისა და გაძლიერების საჭიროებას, რათა ოჯახებმა თვითონ შეძლონ თავიანთ ბავშვებზე ზრუნვა.

ეროვნული პოლიტიკა

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ოჯახის მოწყვლადობის გამომწვევი ფაქტორების თაობაზე შესაბამისი მონაცემების მოგროვებას? გვაწვდის თუ არა შეგროვებული მასალა ოჯახის დასახმარებლად აუცილებელი მომსახურების უზრუნველყოფაზე ინფორმაციას?

.. ითვალისწინებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა კონკრეტულ ჩარევებს ოჯახების დასახმარებლად და გასაძლიერებლად, რათა თავიდან ავიცილოთ ბავშვის ოჯახისგან მოწყვეტა და უზრუნველვყოთ ასეთი ჩარევებისთვის საჭირო რესურსების შემდგომი გაძლიერება და განხორციელება?

.. ქმნის თუ არა ეროვნული პოლიტიკა გარანტიას, რომ დაინერგება და განხორციელდება ოჯახის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რათა ოჯახური გარემო გაძლიერდეს დაბადების ადგილის, სიღარიბის ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად?

.. აღიარებს და მხარს უჭერს თუ არა ეროვნული პოლიტიკა დედისა და მამის საერთო პასუხისმგებლობას ბავშვისათვის მზრუნველი გარემოს უზრუნველსაყოფად? ხელს უწყობს თუ არა, რომ ორივე მშობელს თანაბარი მიდგომები, სათანადო უნარ-ჩვევები და რესურსები გააჩნდეთ ბავშვის აღსაზრდელად?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა კოორდინირებულ მომსახურებას და მომსახურებათა ფართო სპექტრს აღნიშნული პრობლემების მქონე ოჯახებებისათვის?

IV. ალტერნატიული ზრუნვის საჭიროების პრევენცია

ა. მშობელთა ზრუნვის ხელშეწყობა

32 სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ოჯახებს ბავშვების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის შესრულებაში დაეხმარება და დაიცავს მათ უფლებას - ორივე მშობელთან ჰქონდეთ ურთიერთობა. პოლიტიკა უნდა განიხილავდეს ბავშვის მიტოვების და მისი ოჯახისგან დაშორების ძირითად მიზეზებს. ასევე, უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის უფლებების აღსრულებას დაბადების რეგისტრაციის, სათანადო საცხოვრებლისა და სამედიცინო მომსახურების, განათლების მიღებისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებით სარგებლობის კუთხით. გარდა ამისა, პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს სიღარიბის, დისკრიმინაციის, მარგინალიზაციის, სტიგმატიზაციის, ძალადობის, ბავშვისადმი არასწორი მოპყრობისა და მასზე სექსუალური ძალადობის, ასევე, ნარკოტიკის მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლასა და შესაბამისი ზომების მიღებას.

33 სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ თანმიმდევრული და ერთიანი ოჯახის განმამტკიცებელი და ოჯახის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა - პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს და მეტ შესაძლებლობას აძლევს მშობლებს, იზრუნონ თავიანთ შვილებზე.

34 სახელმწიფოებმა ეფექტური ზომები უნდა მიიღონ ბავშვის მიტოვების, მასზე უარის თქმის და მისი ოჯახისგან მოშორების თავიდან ასაცილებლად. სოციალური პოლიტიკა და პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს ოჯახების აღჭურვას შესაბამისი მიდგომებით, უნარ-ჩვევებით, რესურსებითა და შესაძლებლობებით, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ სათანადოდ დაიცვან ბავშვები, იზრუნონ მათზე და ხელი შეუწყონ მათ განვითარებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო საზოგადოების დამატებითი რესურსები, მათ შორის არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, რელიგიური ორგანიზაციების და მედიის რესურსები.
სოციალური დაცვის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს:

(ა) ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართულ ქმედებებს, როგორიცაა ბავშვის აღზრდის კურსები და სწავლებები, ბავშვსა და მშობლებს შორის დადებითი ურთიერთობის ხელშეწყობა, კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევები, დასაქმების შესაძლებლობები, შემოსავლის გაზრდის წყაროების შექმნა და საჭიროების შემთხვევაში, სოციალური დახმარება;

(ბ) დამხმარე სოციალური მომსახურება, როგორიც არის დღის ცენტრი, შუამდგომლობისა და ურთიერთობების მოგვარების სამსახურები, ნარკოტიკზე დამოკიდე-ბულების მკურნალობა, ფინანსური დახმარება და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობლებისა და ბავშვების დახმარება. ასეთი ერთიანი მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივ დონეზე და მასში პარტნიორების სახით აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ოჯახები, რომლებმაც თავიანთი რესურსები საზოგადოებისა და მზრუნველი პირების რესურსებთან უნდა გააერთიანონ.

(გ) ახალგაზრდების მიმართ არსებული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ახალგაზრდების დახმარება, რათა მათ პოზიტიურად შეხედონ ყოველდღიური ცხოვრების პრობლემებს, მაშინაც კი, როცა მშობლების სახლს ტოვებენ. პოლიტიკა, ასევე, გამიზნული უნდა იყოს მომავალი მშობლების მოსამზადებლად, რათა სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირე-ბით გადაწყვეტილების მიღებისას, ისინი სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული და შეეძლოთ საკუთარი პასუხისმგებლობის შესრულება.

35 ოჯახის დასახმარებლად სხვადასხვა დამატებითი მეთოდის გამოყენებაა საჭირო, მაგალითად: სახლში ვიზიტები, სხვა ოჯახებთან ჯგუფური შეხვედრები, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით გამართული შეხვედრები და შესაბამისი ოჯახის მიერ ვალდებულებების შესრულება. ეს მეთოდები ოჯახებს შორის ურთიერთობების განმტკიცებას და შესაბამისად თემის გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს.

36 განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული მარტოხელა და არასრულწლოვანი მშობლების დახმარებაზე, მათზე და მათ შვილებზე ზრუნვაზე, იმისდა მიუხედავად, კანონიერად არიან ეს ბავშვები შობილი თუ არა. დახმარების უზრუნველ-ყოფისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი კანონმდებლობა. სახელმწიფოები არასრულწლოვან მშობლებს უნდა დაეხმარონ თავიანთ სტატუსთან

(მშობლები და ბავშვები) დაკავშირებული უფლებების შენარჩუნებაში. არასრულწლოვან მშობლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათი განვითარებისათვის აუცილებელ მომსახურებაზე და იმ შემწეობებზე, რომელიც მშობლებზე გაიცემა. დაცული უნდა იყოს მათი მემკვიდრეობითი უფლებაც. საჭიროა შესაბიმისი ზომების მიღება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს არასრულწლოვან ორსულთა დაცვა და გარანტია, რომ ისინი სწავლის გაგრძელებას შეძლებენ. აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ შემცირდეს მარტოხელა და არასრულწლოვანი მშობლების სტიგმატიზაცია.

37 დახმარება და მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და-ძმებისათვის. ასევე იმ და-ძმებისთვის, რომელთაც მზრუნველი პირი არ ჰყავთ და ერთ ოჯახში დარჩენა ურჩევნიათ, იმ შემთხვევაში თუ მათ შორის უფროსს ოჯახის უფროსობა შეუძლია და ამის სურვილიც აქვს. სახელმწიფოებმა სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, კანონიერი მეურვის, პასუხისმგებელი პირის ან მეურვის სახით მოქმედების უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოს დანიშვნის (როგორც ეს მე-18 პუნქტში იყო მითითებული) გზით, მსგავსი ტიპის ოჯახები ნებისმიერი სახის ექსპლუატაციისა და ძალადობისგან უნდა დაიცვას. ასევე, უზრუნველყოს მათი დახმარება და მეთვალყურეობა ადგილობრივი საზოგადოებისა და უფლებამოსილი სამსახურების, მაგალითად, სოციალური მუშაკების მხრიდან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების უფლებას ჰქონდეთ საცხოვრებელი, მიიღონ სამედიცინო დახმარება, განათლება და მემკვიდრეობა. ბავშვმა, რომელიც ოჯახის უფროსის სტატუსს იღებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს ბავშვის სტატუსი. ოჯახის უფროსის უფლებების გარდა, მას განათლების მიღებისა და დასვენების უფლებაც უნდა გააჩნდეს.

38 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვზე ზრუნვა დღის განმავლობაში, მათ შორის, გახანგრძლივებული სასკოლო განათლება, რომელიც მშობლებს საშუალებას აძლევს უკეთესად გაუმკლავდნენ საერთო საოჯახო პასუხისმგებლობას, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვასთან დაკავშირებულ დამატებით საჭიროებებს.

ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენცია

39 პროფესიულ პრინციპებზე დაყრდნობით და თანმიმდევრულად უნდა იქნეს გამოყენებული სათანადო კრიტერიუმები ბავშვისა და ოჯახის (მათ შორის ბავშვზე ზრუნვის თვალსაზრისით ოჯახის რეალური და პოტენციური შესაძლებლობის) შესაფასებლად, თუ შესაბამის ორგანოებს და სააგენტოებს გააჩნიათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბავშვის კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება.

40 ბავშვის მშობლებისგან მოშორების ან რეინტეგრაციის გადაწყვეტილება აღნიშნულ შეფასებას უნდა ემყარებოდეს. ასეთი გადაწყვეტილება უფლებამოსილი

ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენცია

აუცილობლობის პრინციპის შესაბამისად, ოჯახისგან დაშორების პრევენცია ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების სათანადო და მკაცრი პროცესის უზრუნველყოფას.



ეროვნული პოლიტიკა...

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა შეფასების პროცესების განხორციელებას სხვადასხვა კუთხით, მაგალითად, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა პრობლემური საკითხების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე?

.. მოითხოვს თუ არა ეროვნული პოლიტიკა, რომ შეფასების პროცესში სათანადო ყურადღება დაეთმოს ოჯახისათვის საჭირო დახმარების დადგენას და ოჯახთან დაშორების ალტერნატივის სახით, ამ საკითხის რეფერირებას სათანადო სამსახურებისათვის?

.. ეროვნული პოლიტიკა უზრუნველყოფს თუ არა, რომ შეფასების პროცესების საშუალებით დადგინდება ის ძირეული მიზეზები, რომელიც ბავშვების ოჯახისგან დაშორებას განაპირობებს, მაგალითად, დისკრიმინაცია, სიღარიბე ან შეზღუდული შესაძლებლობები?

.. უწყობს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ხელს პროფესიული ჯგუფების, მაგალითად, მასწავლებლებისა და ექიმების სწავლებას საფრთხეში მყოფი ბავშვების გამოვლენის კუთხით და ავალდებულებს თუ არა მათ ასეთი შემთხვევის რეფერირებას სათანადო და პასუსიხმგებელ ორგანოებთან?

.. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის მიტოვების შემთხვევები, უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა კონსულტაციას, დაფინანსებას ან სხვა სახის მატერიალურ დახმარებას მშობლებისათვის, რომლებიც უარის თქმას აპირებენ ბავშვზე?

.. ითვალისწინებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა პროცედურებს, რომელიც მიტოვებულ ბავშვებს საკუთარი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება?

ორგანოს სახელით ან მის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უნდა მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალმა, რომელსაც სათანადო სწავლებაც აქვს გავლილი. გადაწყვეტილების მიღებისას, მან კონსულტაცია უნდა გაიაროს ბავშვის მომავლის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გაითვალისწინოს ბავშვის საჭიროებები.

41 რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფოებმა შესაბამისი ზომები მიიღონ ორსულობის, მშობიარობის და ლაქტაციის პერიოდში ბავშვისა და მისი უფლებების სრული დაცვის უზრუნველსაყოფად, რადგან ღირსებისა და უფლებების თანაბარი დაცვა აუცილებელია ორსულობის სათანადოდ განვითარებისა და ბავშვზე ზრუნვისათვის. შესაბამისად, საჭიროა დახმარების პროგრამების ამოქმედება მომავალი დედებისა და მამებისათვის, განსაკუთრებით, არასრულწლოვანი მშობლებისთვის, რომლებსაც ძალიან უჭირთ მშობლის პასუხისმგებლობის შესრულება. ასეთი პროგრამები მიზნად უნდა ისახავდეს დედებისა და მამებისთვის მშობლის მოვალეობის შესრულების სწავლებას. პროგრამის ფარგლებში მშობლებმა ისიც უნდა გაითავისონ, რომ არასოდეს აყვნენ ცდუნებას და მიატოვონ ბავშვი საკუთარი სისუსტისა და დაუცველობის გამო.

42 ბავშვის მიტოვების ან მასზე უარის თქმის შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პროცესის კონფიდენციალურად და ბავშვისათვის უსაფრთხოდ ჩატარება. დაცული უნდა იყოს ბავშვის უფლება - მიიღოს ინფორმაცია თავისი წარმოშობის შესახებ, თუ ეს სახელმწიფოს კანონმდებლობით დაშვებულია.

43 სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს მკაფიო პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვის ანონიმურად მიტოვების შემთხვევები. იქვე უნდა აღინიშნოს, თუ როგორ უნდა მოიძებნოს ბავშვის ოჯახი და როგორ უნდა მოხდეს მისი ოჯახში დაბრუნება ან გადაყვანა გაფართოებული ოჯახის ფარგლებში. პოლიტიკა ასევე საშუალებას უნდა იძლეოდეს, დროულად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ბავშვის ოჯახურ გარემოში მუდმივად განთავსებაზე ან ასეთი ღონისძიების სათანადოდ უზრუნველყოფაზე.

44 როცა სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებას უკავშირდება მშობელი ან მეურვე, რომელსაც ბავშვზე სამუდამოდ უარის თქმა სურს, სახელმწიფომ ეს ოჯახი, დაუყოვნებლივ კონსულტაციითა და სოციალური დახმარებით უნდა უზრუნველყოს, მისცეს ბავშვზე ზრუნვის სტიმული და შესაძლებლობები. თუ მცდელობამ არ გაამართლა, სოციალური სამუშაო ან შესაბამისი პროფესიული შეფასება უნდა განხორციელდეს იმის დასადგენად, არიან თუ არა ოჯახში სხვა წევრები, რომელთაც ბავშვზე სამუდამო პასუხისმგებლობის აღება სურთ და შედის თუ არა ეს ბავშვის ინტერესებში. თუ ეს უკანასკნელი შესაძლებლობაც გამოირიცხება ან არსებობს, მაგრამ ბავშვის ინტერესებში არ შედის, მაშინ, ისეთი ოჯახური გარემო უნდა მოვიძიოთ, სადაც ბავშვი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იცხოვრებს.

45 როდესაც სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებას მიმართავს მშობელი ან მეურვე ბავშვის მოკლე ვადით ან განუსაზღვრელი პერიოდით ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში განთავსების თხოვნით, სახელმწიფომ იგი კონსულტაციითა და სოციალური დახმარებით უნდა უზრუნველყოს, რათა სტიმული მისცეს და ბავშვზე ზრუნის პირობები შეუქმნას. ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული ყველა მცდელობა იქნება გამოყენებული და ბავშვის ალტერნატიული მზრუნველობის ფორმაში გადაყვანის აუცილებლობა იქნება დასაბუთებული.

46 სპეციალური სწავლება უნდა ჩაუტარდეთ მასწავლებლებს და ბავშვებთან მომუშავე სხვა პირებს, რათა მათ შეძლონ ძალადობის, უგულებელყოფის, ექსპლუატაციის ან მიტოვების საფრთხის დადგენა და ასეთი შემთხვევების რეფერირება შესაბამის ორგანოებში მოახდინონ.

47 მშობლების ნების საწინააღმდეგოდ ბავშვის მშობლებთან დაშორების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ უფლებამოსილმა ორგანოებმა, სათანადო კანონის და პროცედურების შესაბამისად. ასეთი შემთხვევა სასამართლო წესით განხილვას ექვემდე-

ბარება. მშობლებს უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება და ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის იურიდიულ წარმომადგენლობაზე.

48 როდესაც დაკავების ან განაჩენის გამოტანის შედეგად ბავშვის ერთადერთ ან ძირითად მზრუნველ პირს თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, რამდენადაც შესაძლებელია, ისეთი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებს. სახელმწიფომ ბავშვის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს, როცა გადაწყვეტილებას იღებს ციხეში დაბადებული ბავშვის და ციხეში მშობელთან ერთად მცხოვრები ბავშვის თაობაზე. ასეთი ბავშვების მშობლებისგან მოშორების საკითხი იგივენაირად უნდა განვიხილოთ, როგორც ბავშვის მშობელთან დაშორების სხვა შემთხვევები. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იმისათვის, რომ მშობლებთან ერთად ციხეში მცხოვრები ბავშვები სათანადო ზრუნვითა და დაცვით იყვნენ უზრუნველყოფილი. ამავდროულად, გარანტირებული უნდა იყოს მათი, როგორც თავისუფალი ადამიანების სტატუსის დაცვა და მათთვის საზოგადოებრივ აქტივობებზე ხელმისაწვდომობა.

ბ. ოჯახის რეინტეგრაციის ხელშეწყობა

49 რეინტეგრაციის დაგეგმვისას, ბავშვისა და ოჯახის მოსამზადებლად, მათი შეფასება სათანადოდ დანიშნულმა პირმა ან ჯგუფმა უნდა მოახდინოს. ამ უკანასკნელს საშუალება უნდა ჰქონდეს საქმეში ჩართულ სხვადასხვა პირთან (ბავშვი, ოჯახი, ალტერნატიული მზრუნველი) გაიაროს მრავლამხრივი კონსულტაცია. ამ გზით გადაწყდება, შესაძლებელია თუ არა ბავშვის ოჯახში რეინტეგრაცია და შედის თუ არა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. რა ეტაპების გავლაა საჭირო და ვისი ზედამხედველობის ქვეშ უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროცესი?

50 ამ თვალსაზრისით, რეინტეგრაციის, ასევე, ოჯახისა და ალტერნატიული მზრუნველის ძირითადი ამოცანები წერილობით უნდა იყოს ჩამოყალიბებული და შეთანხმებული ყველა იმ ადამიანთან, ვისაც ეს ეხება.

51 რეინტეგრაციის მიზნით, ბავშვსა და მის ოჯახს შორის რეგულარული და სათანადო კონტაქტი უნდა დამყარდეს. ამ პროცესს მხარი უნდა დაუჭეროს და კონტროლი გაუწიოს უფლებამოსილმა ორგანომ.

52 როდესაც გადაწყდება ბავშვის ოჯახთან რეინტეგრაცია, პროცესი ეტაპობრივად და გარკვეული ზედამხედველობით უნდა განხორციელდეს. პარალელურად, უნდა გატარდეს შემდგომი დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც ბავშვის ასაკს, საჭიროებებს და განვითარების შესაძლებლობებს, ასევე, ოჯახისგან მისი დაშორების მიზეზებს გაითვალისწინებს.

ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ყველა წესის თანახმად, ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში მყოფ ბავშვთან მიმართებაში, მისი ოჯახთან რეინტეგრაციის შესაძლებლობის განხილვა, ზრუნვის ფორმის გადასინჯვის პროცესის ძირითად ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ეროვნული პოლიტიკა...

.. უწყობს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ხელს ბავშვებსა და ოჯახებს გამოიყენონ თავიანთი უფლებები, რათა შეძლონ ბავშვებზე ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში გადაყვანის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება და რეინტეგრაციის მოთხოვნა?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ბავშვებზე ზრუნვის ისეთ ალტერნატიულ ფორმაში გადაყვანას, რომელიც ახლოს იქნება ბავშვის ოჯახთან და თემთან, რათა მინიმუმამდე შემცირდეს კონტაქტის გაწყვეტის შესაძლებლობა და ბავშვს საშუალება ჰქონდეს მუდმივად დაუკავშირდეს ოჯახს შესაძლო რეინტეგრაციის ხელშესაწყობად?

..არის თუ არა ეროვნულ პოლიტიკაში ხაზგასმული იმის აუცილებლობა, რომ ბავშვის ოჯახში დაბრუნება ზრუნვის ფორმაში მისი გადაყვანის ძირითად ალტერნატივად იქნეს განხილული?

..იძლევა თუ არა ეროვნული პოლიტიკა იმის გარანტიას, რომ ბავშვები და ოჯახები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ბავშვის ოჯახში დაბრუნების შესაძლებლობისა და დაგეგმვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

..უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ისეთ გარემოებას, როცა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას დაგეგმილი და ეტაპობრივი პროცესი მოჰყვება, ხოლო ამ პროცესის განმავლობაში ოჯახს სათანადო დახმარება გაეწევა?

შესაბამისობის დადგენა

აუცილებლობის შემთხვევაში, შემდეგი ეტაპია იმის შეფასება, თუ რომელი ალტერნატიული ზრუნვის ფორმაა ყველაზე შესაბამისი!

ეროვნული პოლიტიკა..

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვაზე პასუხისმგებელ პირებს გადაწყვეტილების მიღებისას უზრუნველყონ თანმიმდევრული, მრავალმხრივი მიდგომის გამოყენება, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს, ინფორმაციის მიღების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღებაში ბავშვებისა და ოჯახების მონაწილეობას?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა შესაბამის მარეგულირებელ ჩარჩოს ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილების, რეგისტრაციის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულებისათვის?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვაზე პასუხისმგებელ პირებს ამომწურავი ჩანაწერები აწარმოონ დასაწყისიდანვე, რათა შეიქმნას ზრუნვის შემდგომი დაგეგმვისა და რეგულარული გადახედვის შესახებ გადაწყვეტილების მყარი საფუძველი?

.. არის თუ არა ეროვნულ პოლიტიკაში აღნიშნული, რომ ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვის ფორმაში გადაყვანის პერიოდული გადახედვისას, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვზე ზრუნვის ზოგად პირობებს, ბავშვის ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში დარჩენის საჭიროებას და თავად ბავშვის მოსაზრებებს?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვაზე პასუხისმგებელ პირებს, უზრუნველყონ ზრუნვასთან დაკავშირებული საკითხების ინდივიდუალიზებული გადაჭრა, რაც ხელს უწყობს ზრუნვის დაგეგმვის სტაბილურობასა და პერმანენტულობას ბავშვის ოჯახში დაბრუნების ან ალტერნატიული ზრუნვის მუდმივი უზრუნველყოფის დროს?

V. ზრუნვის უზრუნველყოფის სქემა

53 მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ყოველი ბავშვის ინდივიდუალური ფსიქო-ემოციონალური, სოციალური და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს და შესაბამისად უზრუნველყოს სამართლებრივი და ფინანსური პირობები. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ალტერნატიული ზრუნვის შესაფერისი ფორმები. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ოჯახზე და თემზე დაფუძნებულ ფორმებს.

54 სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპებთან თანხვედრაში მყოფი ალტერნატიული ზრუნვის ფორმების არსებობა საგანგებო მდგომარეობაში ზრუნვის, ასევე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზრუნვის შემთხვევაში.

55 სახელმწიფომ უნდა შექმნას გარანტია, რომ ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის უზრუნველყოფაში ჩართული ყველა პირი სათანადოდ იყოს უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოსგან და წინამდებარე სახელმძღვანელოში აღნიშნული მითითებების გათვალისწინებით, ამ ორგანოს განხორციელებულ, რეგულარულ მონიტორინგს დაექვემდებაროს. ამ თვალსაზრისით, უფლებამოსილმა ორგანოებმა სათანადო კრიტერიუმები უნდა შეიმუშაონ აღმზრდელების პროფესიული და ეთიკური შესაბამისობის შესაფასებლად, ასევე, მათი აკრედიტაციის, მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით

56 არაფორმალური მზრუნველობის ფორმებთან მიმართებაში, იმისდა მიუხედავად, ბავშვზე ზრუნვა გაფართოებული ოჯახის პირობებში ხდება თუ ამას მეგობრები ან სხვა პირები აკეთებენ, სახელმწიფომ მზრუნველი პირების მოტივაციის ამაღლების მიზნით, კომპეტენტურ ორგანოებს უნდა შეატყობინოს, რომ ბავშვმა შეიძლება საჭირო ფინანსური და სხვა სახის დახმარება მიიღოს. ეს ხელს შეუწყობს ბავშვის კეთილდღეობასა და დაცვას. თუ შესაძლებელია, სახელმწიფომ, ბავშვისა და მშობლების თანხმობით, არაფორმალურ აღმზრდელებს საშუალება უნდა მისცეს, მზრუნველობის ფორმა ფორმალური გახადონ გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ინტერესები მოცემული მომენტისათვის და სამომავლოდ.

VI. ზრუნვის ყველაზე მართებული ფორმის განსაზღვრა

57 ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე ალტერნატიული ზრუნვის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა შესაბამისი და აღიარებული პროცედურის გზით უნდა იქნეს მიღებული. ამ პროცესში ჩადებული უნდა იყოს უსაფრთხოების კანონიერი მექანიზმები, მათ შორის,

მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ნებისმიერ იურიდიულ პროცესში ბავშვის კანონიერი წარმომადგენლობა. ეს გადაწყვეტილება არსებული სტრუქტურებისა და მექანიზმების საფუძველზე დეტალურ შეფასებას, დაგეგმარებასა და განხილვას უნდა ეფუძნებოდეს და ყველა შემთხვევა, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, მულტიდისციპ-ლინარული გუნდის მიერ ცალ-ცალკე უნდა იყოს განხილული. ყველა ეტაპზე ეს პროცესი ბავშვთან (მისი შესაძლებლობის ფარგლებში) და მის მშობლებთან ან კანონიერ მეურვესთან სრული კონსულტაციის პირობებში უნდა მიმდინარეობდეს. ამ მხრივ, ყველა ჩართულ მხარეს აზრის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა იზრუნონ ზრუნვის საუკეთესო ფორმის განმსაზღვრელი სპეციალისტებისათვის შესაბამისი რესურსების მიწოდებისა და მათი გადამზადებისა და აღიარებისათვის, რათა ამ დებულებების შესრულებას შეუწყონ ხელი.

58 შეფასება სწრაფად, გულდასმით და ფრთხილად უნდა განხორციელდეს. გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ბავშვის უსაფრთხოება და კეთილდღეობა, გრძელვადიანი ზრუნვა და განვითარე-ბა, ასევე ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები და განვითარების დონე, ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური წარმომავლობა, ოჯახური და სოციალური გარემო, ჯანმრთელობის ისტორია და ნებისმიერი სხვა სპეციფიკური საჭიროება.

59 უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათი მიღების შემდეგ შეფასების შედეგად შექმნილი თავდაპირველი და შემდგომი ანგარიშები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვან რესურსად უნდა იქცეს, რათა, უმიზეზო წყვეტა და საპირისპირო გადაწყვეტილებები ავიცილოთ თავიდან;

60 ზრუნვის ფორმების ხშირი ცვალებადობა ბავშვის განვითარებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბე-ბისათვის საზიანოა და თავიდან უნდა ავიცილოთ. ბავშვის მოკლევადიანი განთავსება შესაბამისი გრძელვადიანი გადაწყვეტის გამონახვას უნდა ისახავდეს მიზნად. ეს გრძელვადიანი გადაწყვეტა უმიზეზო გადავადების გარეშე ბავშვის ოჯახში, ან, თუ ეს შეუძლებელია, ალტერნატიულ ოჯახური ტიპის გარემოში ან, 21-ე პარაგრაფის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტაბილურ და შესაბამის ინსტიტუციურ გარემოში რეინტეგრაციის გზით უნდა განხორციელდეს.

.

61 ზრუნვის ფორმის და მდგრადობის დაგეგმვა ადრეული პერიოდიდანვე უნდა დაიწყოს - იდეალურ შემთხვევაში, ზრუნვის საჭიროების წარმოშობისთანავე. თითოეული ალტერნატივის მოკლე და გრძელვადიანი უპირატესობები და ნაკლოვანებები უნდა შეფასდეს და მოკლე და გრძელვადიანი წინადადებები უნდა შემუშავდეს.

62 ზრუნვის ფორმის და მდგრადობის დაგეგმვა, უპირველეს ყოვლისა, ისეთ ფაქტორებს უნდა

ეფუძნებოდეს, როგორიცაა: საკუთარ ოჯახზე ბავშვის დამოკიდებულების სპეციფიკა და ხარისხი; ოჯახის შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ბავშვის კეთილდღეო-ბასა და ჰარმონიულ განვითარებას; ბავშვის სურვილი, ოჯახის ნაწილად იგრძნოს თავი; საკუთარ თემში და ქვეყანაში ბავშვის დარჩენის სურვილი; ბავშვის კულტურული, ენობრივი და რელიგიური წარმომავლობა და ბავშვის ურთიერთობა და-ძმასთან, რათა თავიდან ავიცილოთ მათი განცალკევება.

63 გეგმაში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული განთავსების მიზნები და მათი მიღწევის გზები.

64 ბავშვს და მის მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს ზრუნვის არსებული ალტერნატივების, თითოეული ალტერნატივის შედეგების და ამ ალტერნატივის ფარგლებში საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სრულად ინფორმაცია უნდა მიეწოდოს.

65 ბავშვის დაცვის ღონისძიების მომზადება, განხორციელება და შეფასება მაქსიმალურად მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების, პოტენციური მშვილებლების და მზრუნველების მონაწილეობით უნდა განხორციელდეს და ბავშვის სპეციფიკური საჭიროებები და სურვილები გაითვალისწინოს. ბავშვის, მშობლების ან კანონიერი მეურვეების მოთხოვნის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტი-ლებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსულტაციაში შეიძლება ბავშვის ცხოვრებაში არსებული სხვა მნიშვნელოვანი პირებიც ჩაერთონ.

66 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისად ჩამოყალიბებული სასამართლოს, ტრიბუნალის ან ადმინისტრაციული თუ სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვს და ასევე მის მშობლებს ან მშობლების მოვალეობის შემსრულებელ ნებისმიერ სხვა პირებს განთავსების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლოში წარდგენის შესაძლებლობა ჰქონდეთ და იცოდნენ სასამართლოს წინაშე წარდგენის უფლების შესახებ და ამ უფლების განხორციელებისას დახმარებას იღებდნენ.

67 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დროებითი ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის უფლება, რეგულარულად და გულდასმით - სასურველია, სამ თვეში ერთხელ მაინც - გადაისინჯოს მასზე ზრუნვის მიზანშეწონილობა და ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს ისეთიფაქტორები, როგორიცაა: ბავშვის ინდივიდუალური განვითარება და ნებისმიერი საჭიროება, ცვლილებები ოჯახურ გარემოში და ამ პირობებში ბავშვის არსებული განთავსების ადეკვატურობა და აუცილებლობა. გადასინჯვა კვალიფიციური და უფლებამოსილი პირების მიერ უნდა განხორციელდეს და ამ პროცესში ბავშვი და მისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი პირი სრულად უნდა იყოს ჩართული.

68 დაგეგმარებისა და გადასინჯვის პროცესის შედეგად ზრუნვის ფორმის ნებისმიერი ცვლილებისადმი ბავშვი სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული.

VII. ალტერნატიული ზრუნვა

ა. პოლიტიკა

69 სახელმწიფო ან ხელისუფლების შესაბამისი უწყებები ვალდებულნი არიან, მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ყველა ბავშვთან მიმართებაში ფორმალური და არაფორმალური ზრუნვის კოორდინირებული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება უზრუნველყონ. მსგავსი პოლიტიკა სანდო ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს. პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ბავშვზე პასუხისმგებელი პირი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: ბავშვის დაცვის, მასზე ზრუნვისა და მისი განვითარების პროცესში მშობლების ან მთავარი მზრუნველების როლი. უპირველესი პასუხისმგებლობა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ბავშვის მშობლებს ან მთავარ მზრუნველებს ეკისრება.

70 მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დახმარებასა ან რეფერირების პროცესში ჩართულმა ნებისმიერმა სახელმწიფო უწყებამ, სამოქალაქო საზოგადოებასთან თამანშრომლობით, უნდა შეიმუშავოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ამ ბავშვებზე ზრუნვის, ზრუნვის შემდგომი პროცესისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის გაზიარებას და უწყებებსა და ცალკეულ პირებს შორის თანამშრომლობას უწყობს ხელს. ალტერნატიულ ზრუნვაზე პასუხისმგებელი უწყების მდებარეობა და/ან სტრუქტურა ამ უწყების მომსახურებით მოსარგებლეებისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

71 განსაკუთრებული ყურადღება ალტერნატიული ზრუნვის ხარისხს უნდა მიექცეს, იქნება ეს ინსტიტუცია თუ ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა, განსაკუთრებით - მზრუნველთა პროფესიონალურ უნარებს, შერჩევას, მომზადებასა და ზედამხედველობას. ბავშვის მშობლებსა ან კანონიერ მეურვეებთან მიმართებაში მათი როლი და ფუნქციები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს.

72 თითეულმა სახელმწიფომ წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპებთან შესაბამისობაში ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებების განმსაზღვრელი დოკუმენტი უნდა შეიმუშავოს. ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს სრულად უნდა ესმოდეთ ზრუნვის ფორმის წესები, რეგულაციები და მიზნები და ამ ფორმიდან გამომდინარე მათი უფლებები და მოვალეობები.

73 ალტერნატიული ზრუნვის ყველა ფორმა წერილობით დაფიქსირებულ მიზნებსა და ამოცანებს და ბავშვისადმი ზრუნვის გამხორციელებლის პასუხისმგებლობის არსს უნდა ეფუძნებოდეს. ეს წერილობითი დოკუმენტი ბავშვის უფლებების კონვენციის, წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპებისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს უნდა ასახავდეს. ზრუნვის ყველა განმხორციელებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია ან დამტკიცებული უნდა იყოს ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებისათვის წაყენებული კანონიერი მოთხოვნები.

74 ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ ბავშვის მიღების ან რეფერირების სტანდარტული პროცესის დაწესების მიზნით მარეგულირებელი ჩარჩო უნდა შეიქმნას.

75 ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებასთან დაკავშირებული კულტურული და რელიგიური პრაქტიკა, მათ შორის, გენდერული პერსპექტივა, გათვალისწინებული და გამოყენებული უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც ეს ბავშვის უფლებებს შეესაბამება და ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ასეთი პრაქტიკის გამოყენების განსაზღვრასთან დაკავშირებული პროცესი მაქსიმალურად ინკლუზიური უნდა იყოს: მასში კულტურული და რელიგიური ლიდერები, პროფესიონალები და მშობელთა ზრუნვას მოკლებული ბავშვების მზრუნველები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები, ასევე თავად ბავშვები უნდა იყვნენ ჩართულნი.

1. არაფორმალური ზრუნვა

76 ოჯახებისა თუ ცალკეული პირების მიერ არაფორმალური ზრუნვის პირობებში შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოებმა

მსგავსი ზრუნვის როლი უნდა აღიარონ და მისი ოპტიმალური განხორციელების მხარდაჭერის მიზნით ადეკვატური ზომები გაატარონ, რომელიც დაეყრდნობა იმის შეფასებას, თუ რომელ კონკრეტულ ფორმას შეიძლება დასჭირდეს სპეციალური დახმარება ან ზედამხედველობა სახელმწიფოს მხრიდან.

77 სადაც მიზანშეწონილია, კომპეტენტურმა ორგანოებმა არაფორმალური მზრუნველების მიერ ზრუნვის ორგანოებისათვის შეტყობინება უნდა წაახალისონ და უზრუნველყონ ყველა იმ მომსახურებისა და შეღავათების ხელმისაწვდომობა, რაც მზრუნველებს ბავშვზე ზრუნვისა და მისი დაცვის მოვალეობის შესრულებაში დაეხმარება.

78 სახელმწიფომ ბავშვზე არაფორმალური მზუნველების დე ფაქტო პასუხისმგებლობა უნდა აღიაროს.

79 სახელმწიფოებმა საგანგებო და შესაბამისი ღონისძიებები უნდა შეიმუშავონ, რომელიც არაფორმალური ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს ძალადობისგან, უყურადღებობისგან, ბავშვთა შრომისა და ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისგან დაიცავს. განსაკუთრებული ყურადღება არა-ნათესავის, ან ბავშვისათვის მანამადე უცნობი ნათესავის ან ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით მცხოვრები ნათესავის მიერ გაწეულ არაფორმალურ ზრუნვას უნდა მიექცეს.

2. ფორმალური ალტერნატიული ზრუნვის ღონისძიებების ზოგადი წესები

80 ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ ბავშვის გადაყვანა ძალიან ყურადღებით და ბავშვისათვის ნაკლებად მტკივნეული გზით უნდა განხორციელდეს და ამ პროცესში საგანგებოდ მომზადებული და, რაც მნიშვნელოვანია, სათანადო პერსონალი უნდა მონაწილეობდეს.

81 ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მოხვედრისას, ბავშვის კონტაქტი ოჯახთან, ასევე მასთან დაახლოებულ სხვა პირებთან, როგორიცაა მეგობრები, მეზობლები ან წინა მზრუნველები, წახალისებული უნდა იყოს და ხელი უნდა შეეწყოს — ბავშვის დაცვის და ინტერესების გათვალისწინებით. ოჯახთან კავშირის უქონლობის შემთხვევაში, ბავშვს ოჯახის წევრების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს.

82 სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების მშობლების პატიმრობის ან გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში მათთან კონტაქტის შენარჩუნების შესაძლებლობის უზრუნველყოფას უნდა მიაქციონ და ამ მიმართულებით ბავშვებს ყველა საჭირო ფსიქოლოგიური დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინონ.

ზოგადი პირობები (I)

წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპები ფორმალურ და არაფორმალურ ზრუნვას მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისგან და მათთვის განსხვავებულ სტანდარტებს აწესებს. არაფორმალურ მზრუნველებს მოვუწოდებთ, საკუთარი თავი წარმოადგინონ, რათა არსებულ სოციალურ მხარდაჭერაზე ხელი მიუწვდებოდეთ, ხოლო ფორმალურმა მზრუნველებმა გარკვეული ზოგადი პირობები უნდა დააკმაყო-ფილონ.

ეროვნული პოლიტიკა:

.. აწესებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა შესაბამის სტანდარტს დაწესებულებებისათვის და ზედამხედველობს მას, რათა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების რეგულაციებთან ფიზიკური გარემოს შესაბამისობა უზრუნველყოს, რომელიც პირად სივრცეზე ბავშვის უფლების გათვალისწინებით ადეკვატურ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებს აკმაყოფილებს?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ფორმალური ზრუნვის განმხორციელებლებს, ყავდეთ პროფესიონალი, კვალიფიციური და შესაბამისი განათლების მქონე (მაგალითად, ბავშვის უფლებებისა და ბავშვის განვითარების საკითხების მცოდნე) მზრუნველები?

.. იცავს თუ არა ეროვნული პოლიტიკა პრაქტიკას, რომელიც ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის მის მშობლებთან, ოჯახის სხვა წევრებთან, მეგობრებსა და თემთან რეგულარულ კავშირს უზრუნველყოფს?

.. ითვალისწინებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ალტერნატიულ ზრუნვაგამოვლილი ბავშვების მიმართ სოციალური მიდგომებისა და სტიგმატიზაციის აღმოფხვრის და დისკრიმინაციის (მაგალითად, განათლების, ჯანდაცვის და დასაქმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული) აკრძალვის საჭიროებას?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვის განმხორციელებლისა და დაწესებულებების მიერ ბავშვზე ზრუნვასა და დაცვას და ბავშვის შესაძლებლობების ავტონომიურ განვითარებას შორის ბალანსის დაცვას?

83 მზრუნველებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებმა ადგილობრივი დიეტური ჩვეულებების და დიეტური სტანდარტების, ასევე ბავშვის რელიგიური რწმენის შესაბამისი სრულფასოვანი და ნოყიერი საკვების ადეკვატურ ულუფა მიიღონ. აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვებს შესაბამისი კვებითი დანამატებიც უნდა მიეწოდოს.

84 მზრუნველებმა ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას უნდა შეუწყონ ხელი და უზრუნველყონ სამედიცინო მომსახურება, ფსიქოლოგიური დახმარება და მხარდაჭერა მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

85 მათი უფლებების შესაბამისად, ბავშვებს ფორმალურ, არაფორმალურ და პროფესიულ განათლებაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ, თუ კი ეს შესაძლებელია მათსავე თემში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

86 მზრუნველებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ბავშვის უფლება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების, აივ/შიდსით ინფიცირებული ან სხვა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის უფლება, განვითარდეს თამაშის ან გასართობი ღონისძიებების გზით, დაცულია და ზრუნვის გარემოს ფარგლებში და მის გარეთ მსგავსი ღონისძიებების შესაძლებლობები არსებობს. ადგილობრივ თემში სხვა ბავშვებთან და სხვებთან კონტაქტი წახალისებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს.

87 ზრუნვის ყველა ფორმა ჩვილთა და მოზარდთა სპეციფიკური უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, განვითარების და სხვა, მათ შორის, ერთ კონკრეტულ მზრუნველზე ბავშვების დამოკიდებულების განვითარების ხელშეწყობის, საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს.

88 ბავშვებს საკუთარი რელიგიური და სულიერი ცხოვრების საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალება უნდა ჰქონდეთ, მათ შორის, რელიგიის წარმომადგენლის სტუმრად მიღების შესაძლებლობა; ასევე, ბავშვმა თავისუფლად უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა მონაწილეობა რელიგიურ მსახურებაში, რელიგიური განათლება ან რჩევა. ბავშვის რელიგიურ წარმომავლობას პატივი უნდა ვცეთ და ზრუნვის ქვეშ ყოფნისას არცერთი ბავშვი არ უნდა წავახალისოთ ან დავარწმუნოთ, შეიცვალოს რელიგია ან რწმენა.

89 ბავშვზე პასუხისმგებელმა ყველა ზრდასრულმა პირმა პატივი უნდა სცეს ბავშვის უფლებას პირად სივრცეზე, მათ შორის: ჰიგიენური და სანიტარული საჭიროებებისათვის შესაბამისი ფართი გენდერული განსხვავებების და ურთიერთობის გათვალისწინებით უნდა იყოს გამოყოფილი; ასევე უნდა გამოიყოს ადეკვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სივრცე პირადი ნივთების შესანახად.

90 მზრუნველებს ბავშვებთან პოზიტიური, უსაფრთხო და მზრუნველი ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში საკუთარი როლის მნიშვნელობა გაცნობიერეული უნდა ჰქონდეთ და ამის გაკეთება უნდა შეეძლოთ.

91 ალტერნატიული ზრუნვის ყველა გარემოში საცხოვრებელი პირობები ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

92 უფლებამოსილი უწყებების მეშვეობით სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი პირობები და ამ ადგილებში მათი ზედამხედველობა ბავშვებს ძალადობისგან ეფექტურად იცავს. ბავშვის საცხოვრებელი პირობების განსაზღვრისას თითოეული ბავშვის ასაკს, მოწიფულობას და მოწყვლადობის ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება

უნდა მიექცეს. ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დაცვის ღონისძიებები კანონს უნდა შეესაბამებოდეს და თემში მცხოვრებ, იმავე ასაკის სხვა ბავშვებთან შედარებით მათი თავისუფლება და ქცევები უმიზეზოდ არ უნდა შეიზღუდოს.

93 ალტერნატიული ზრუნვის ნებისმიერი გარემო ბავშვებს მოტაცებისგან, ტრეფიკინგისგან, გაყიდვისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისგან ადეკვატურად უნდა იცავდეს. ბავშვების თავისუფლების და ქცევების ნებისმიერი შეზღუდვა მსგავსი ქმედებებისაგან ბავშვების დაცვის
ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომებს არ უნდა აღემატებოდეს.

94 ყველა მზრუნველმა, მისაღები რისკებისა და ბავშვის ასაკის, ასევე მისი განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით, უნდა წაახალისოს ბავშვები და ახალგაზრდები, განვითარდნენ და ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

95 სახელმწიფოებმა, უწყებებმა და დაწესებულებებმა, სკოლებმა და სერვისების სხვა მიმწოდებლებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები, რომ არ მოხდეს ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების სტიგმატიზაცია მათი განთავსებისას ან განთავსების შემდეგ. ეს ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომელიც ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ ყოფნის ფაქტის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას მინიმუმამდე დაიყვანს.

96 ყველა დისციპლინარული ღონისძიება და ქცევის მენეჯმენტი, რომელიც წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს, მათ შორის მარტო ჩაკეტვა ან ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელსაც ბავშვის ფიზიკურ ან სულიერ ჯანმრთელობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად სასტიკად უნდა აიკრძალოს. მსგავსი პრაქტიკის აღსაკვეთად და კანონის ძალით დასჯისათვის სახელმწიფოებმა ყველა ნაბიჯი უნდა გადადგან. ოჯახის წევრებთან ან ბავშვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სხვა ადამიანთან კონტაქტის შეზღუდვა სანქციის სახით არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული.

97 ძალის ან ნებისმიერი სხვა სახის შეზღუდვის გამოყენება დაუშვებელია, გარდა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვებებისა, როცა ეს ბავშვის ან სხვების ფიზიკური ან ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისათვის არის აუცილებელი და მხოლოდ კანონის შესაბამისად და ბავშვის ფუნდამენტური უფლებების გათვალისწინებით. შეზღუდვა წამლებისა და მედიკამენტების მეშვეობით მხოლოდ თერაპიული საჭიროების შემთხვევაშია დაშვებული და არასდროს არ უნდა მოხდეს სპეციალისტის მიერ შეფასებისა და დანიშნულების გამოწერის გარეშე.

ზოგადი პიროგები (II)

ეროვნული პოლიტიკა:

.. კრძალავს და სჯის თუ არა ეროვნული პოლიტიკა ალტერნატიული ზრუნვის პირობებში ბავშვზე ძალადობის ნებისმიერ ფორმას და ავალდებულებს თუ არა ზრუნვის განმხორციელებლებს, უზრუნველყონ მზრუნველების შესაბამისი გადამზადება და ცნობიერების ამაღლება?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვის განმხორციელებლებს, იქონიონ ალტერნატიული ზრუნვის პირობებში ბავშვზე ძალადობის ინციდენტების აღრიცხვისა და რეაგირების პროცედურა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის პროცედურა?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვის განმხორციელებლებს, რომ მზრუნველებმა დეესკალაციის არა-ძალადობრივი მექანიზმების და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფიზიკური ძალის შესაბამისი გამოყენების შესახებ ტრენინგი გაიარონ?

.. ხაზს უსვამს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ვალდებულებას, ფიზიკური შეზღუდვის ყველა ინციდენტი აღირიცხოს და ზრუნვის განმხორციელებლების ვალდებულებას, მსგავს ინციდენტებზე რეაგირება და მათი მონიტორინგი მოახდინონ?

.. აწესებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ჩარჩოს, რომელიც მსგავსი სისტემის დამოუკიდებელ ზედამხედველობას და საჩივრების აღძვრის ღია და მიუკერძოებელ პროცედურას უზრუნველყოფს?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა საჩივრის აღმძვრელი ნებისმიერი ბავშვის ხელშეწყობას ზრუნვის განმხორციელებლების მიერ, მაგალითად, მთელი პროცესის განმავლობაში "ნდობით აღჭურვილი პირის" დახმარების გზით?

98 ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს ნდობით აღჭურვილ პირზე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი, ვისაც სრული კონფიდენციალურობის პირობებში გაუნდობენ სათქმელს. მსგავსი ადამიანი ბავშვთან შეთანხმებით კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეარჩიოს. ბავშვს უნდა ეცნობოს, რომ რიგ შემთხვევებში, იურიდიულმა ან ეთიკურმა სტანდარტებმა შეიძლება კონფიდენციალურობის დარღვევა განაპირობოს.

99 ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს მათვის ცნობილ, ეფექტურ და მიუკერძოებელ მექანიზმზე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი, სადაც მათ მოპყრობასა თუ განთავსებასთან დაკავშირებული საჩივრების აღძვრა შეეძლებათ. ეს მექანიზმი უნდა მოიცავდეს: თავდაპირველ კონსულტაციას, უკუკავშირს, განხორციელებას და შემდგომ კონსულტაციას. ამ პროცესში - მათი აზრის მნიშვნელობის გამო - ზრუნვის გამოცდილების მქონე ახალგაზრდები უნდა იყვნენ ჩართულნი. პროცესი კომპეტენტურმა პირებმა უნდა წარმართონ, ვისაც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის ტრენინგები აქვთ გავლილი.

100 იდენტურობის გრძნობის განვითარების მიზნით, თითოეული ბავშვის ცხოვრების ყველა ნაბიჯის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის, სურათების, პირადი ნივთებისა და მოგონებების შემცველი "ცხოვრების წიგნი" უნდა შეინახოს, რომლის შექმნაში ბავშვიც მიიღებს მონაწილეობას და რომელიც ბავშვისათვის მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ხელმისაწვდომი იქნება.

ა. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ბავშვზე

101 იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობლები არ არიან ან ბავშვის ინტერესებისადან გამომდინარე ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლიათ, და ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მოთავსების გადაწყვეტილება კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ან სასამართლომ მიიღო, მშობლების ნაცვლად მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების იურიდიული უფლება ბავშვთან კონსულტაციის შედეგად შერჩეულ პირს ან კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიენიჭოს. სახელმწიფოებმა მსგავსი პირის ან ორგანოს შერჩევის მექანიზმის არსებობა უნდა უზრუნველყონ.

102 მსგავსი სამართლებრივი პასუხისმგებლობა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მიანიჭოს და ზედამხედველობაც ამ ორგანომ ან ფორმალურად აკრედიტირებულმა უწყებებმა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ. პირის ან ორგანოს ქმედებებზე ანგარიშვალდებული სწორედ ეს შემრჩევი ორგანო უნდა იყოს.

103 მსგავსი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე ფიზიკური პირები პატივცემული ადამიანები უნდა იყვნენ, რომლებიც იცნობენ ბავშვების საკითხებს, ბავშვებთან პირდაპირ მუშაობა შეუძლიათ და მათთვის მინდობილი ბავშვის ნებისმიერი სპეციფიკური ან კულტურული საჭიროება ესმით. ამ მხრივ მათ შესაბამისი გადამზადება და პროფესიული დახმარება უნდა მიიღონ. მათ ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე და თითოეული ბავშვის კეთილდღეობის ხელმშემწყობი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

104 შერჩეული პირის ან ორგანოს როლი და სპეციფიკური პასუხისმგებლობები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, კერძოდ: შესაბამისი ზრუნვა, საცხოვრებელი პირობები, ჯანდაცვა, განვითარების შესაძლებლობა, ფსიქოლოგიური დახმარება, საგანმანათლებლო და ენობრივი დახმარება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვისათვის იურიდიული და სხვა წარმომადგენლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; ბავშვთან კონსულტაცია, რათა გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა ბავშვის აზრი გაითვალისწინონ და ბავშვისათვის მისი უფლებების შესახებ რჩევის მიცემა და ინფორმაციის მიწოდება;

გ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე მდგრადი გადაწყვეტის იდენტიფიკაციას;

დ) ბავშვსა და მისთვის მომსახურების შესაძლო მიმწოდებელ ორგანიზაციებს შორის დამაკავშირებელის როლის შესრულებას;

ე) ბავშვის დახმარებას ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოპოვების პროცესში;

ვ) რეპატრიაციის ან ოჯახის გაერთიანების შემთხვევაში, ბავშვის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას;

ზ) სადაც მიზანშეწონილია, ოჯახთან კავშირის შენარჩუნებაში ბავშვის დახმარებას.

1. ფორმალურ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი უწყებები და დაწესებულებები

105 კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, რომ ყველა უწყებამ და დაწესებულებებამ სოციალური კეთილდღეობის სამსახურში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში რეგისტრაცია და ავტორიზაცია უნდა გაიაროს და რომ ამ მოთხოვნის დარღვევა არის დანაშაული და ისჯება კანონით. ავტორიზაცია სტანდარტული კრიტერიუმების მიხედვით უფლებამოსილმა ორგანომ უნდა მიანიჭოს და რეგულარულად შეამოწმოს ამ სტანდარტების დაცვა. ეს კრიტერიუმები მინიმუმ შემდეგ ფაქტორებს უნდა ითვალისწინებდეს: ორგანოს ან დაწესებულების მიზნები, ფუნქციონირება,

თანამშრომელთა აყვანა და კვალიფიკაცია, ზრუნვის პირობები და ფინანსური რესურსები და მენეჯმენტი.

106 ყველა უწყებას და დაწესებულებას პოლიტიკისა და პრაქტიკის წერილობითი განაცხადი უნდა გააჩნდეს, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპებთან იქნება შესაბამიშობაში და რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს უწყების/დაწესებულების მიზნებს, პოლიტიკას, მეთოდებს და ამ მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით კვალიფიციური და შესაფერისი მზრუნველების აყვანის, მონიტორინგის, ზედამხედველობისა და შეფასების სტანდარტებს.

107 ყველა უწყებამ და დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს ქცევის კოდექსი, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპებთან იქნება შესაბამისობაში, და რომელიც თითოეული პროფესიონალისა და, განსაკუთრებით, მზრუნველის როლს განსაზღვრავს და გუნდის ნებისმიერი წევრის მიერ სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში ანგარიშგების მკაფიო პროცედურებს მოიცავს.

108 ზრუნვის დაფინანსების ფორმა არასდროს არ უნდა იყოს იმგვარი, რომ უწყების ან დაწესებულების მიერ აუცილებობის გარეშე ბავშვის დატოვება ან ზრუნვის ქვეშ მისი ხანგრძლივი მოთავსება წაახალისოს.

109 ალტერნატიული ზრუნვის განხორციელების ადმინისტრირების შესახებ ყოვლისმომცველი და განახლებული ჩანაწერები უნდა არსებობდეს, მათ შორის დეტალური დოკუმენტები ზრუნვის ქვეშ მყოფ ყველა ბავშვზე, დასაქმებულ თანამშრომლებსა და ფინანსურ გადარიცხვებზე.

110 ბავშვზე ზრუნვის ჩანაწერები უნდა იყოს სრული, განახლებული, კონფიდენციალური, საიდუმლო და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თითოეული ბავშვის მიღებისა და გაშვების და ზრუნვის ქვეშ მათი მოთავსების ფორმის, შინაარსისა და დეტალების შესახებ, ასევე ყველა შესაბამის საიდენტიფიკაციო დოკუმენტს და სხვა პირად ინფორმაციას. ბავშვის შესახებ ჩანაწერი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მისი ოჯახის შესახებ, ასევე რეგულარულ შეფასებაზე დაფუძნებულ ანგარიშებს. ეს ჩანაწერი ბავშვს ალტერნატიული ზრუნვის მთელი პერიოდი განმავლობაში უნდა გაყვეს და მას ბავშვის ზრუნვაზე პასუხისმგებელი პროფესიონალები უნდა გაეცნონ.

111 ზემოთ ნახსენები ჩანაწერები შეიძლება ბავშვისთვის, ასევე მშობლებისა ან მეურვეებისთვის იყოს ხელმისაწვდომი, პირადი ინფორმაციისა და კონფიდენციალურობის დაცვაზე ბავშვის უფლების ფარგლებში, როცა ეს მიზანშეწონილია. ჩანაწერთან გაცნობამდე, გაცნობისას და შემდეგ შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარება უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

112 ალტერნატიული ზრუნვის ყველა განმხორციელებელს თითოეული ბავშვის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის მკაფიო პოლიტიკა უნდა გააჩნდეს, რომელსაც ყველა მზრუნველი იცნობს და ემორჩილება.

ფორმალურ ზრუნვაზე პასუხისმგებელი უწყებები და დაწესებულებები

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები განსაზღვრავს რეგულატორულ ჩარჩოს, რომელიც ზრუნვის განმხორციელებლების, ზრუნვის დაწესებულებების და ინდივიდუალური მზრუნველების ავტორიზაციის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პროცესში სახელმწიფოს პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს.

ეროვნული პოლიტიკა:

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვის განმხორციელებელი უწყებებისა და დაწესებულებების ავტორიზაციას, მათ შორის მოთხოვნას, წარმოდგენილი იყოს თანამშრომლების აყვანის, მათი ქცევისა და მონიტორინგის, ზრუნვის სტანდარტების და ცუდი მოპყრობის დაფიქსირების პოლიტიკა?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვის განმხორციელებლებს განახლებული ჩანაწერების ქონას, ამ ჩანაწერების კონფიდენციალურობას და, საჭიროების შემთხვევაში, ამ ჩანაწერებზე ბავშვების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას?

.. ადგენს თუ არა ეროვნული პოლიტიკა დასაქმების მინიმალურ სტანდარტებს, რათა მზრუნველებისა და სხვა თანამშრომლებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობები, ადეკვატური ანაზღაურება და, შესაბამისად, მათი მოტივაცია და კადრების შენარჩუნება უზრუნველყოს?

.. ადგენს თუ არა ეროვნული პოლიტიკა კრიტერიუმებს, რომელიც მზრუნველების პერსონალური განვითარებისა და შესაბამის საკითხებზე (მაგალითად, ბავშვის დაცვის კანონმდებლობა, ბავშვის უფლებები, შეზღუდვების მიზანშეწონილი გამოყენება, ბავშვის განვითარების საკითხები და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები) ტრენინგების მეშვეობით ზრუნვის სტანდარტების შენარჩუნებას უზრუნველყოფს?

ზრუნვის ფორმები

საჭიროებისა და შესაბამისობის პრინციპის გათვალისწინებას და თითოეული შემთხვევის ცალ-ცალკე განხილვის მოთხოვნას მივყავართ სხვადასხვა ზრუნვის ფორმების არსებობის საჭიროებამდე, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეაგირების მოქნილობა.

ეროვნული პოლიტიკა:

.. არის თუ არა ეროვნული პოლიტიკა პროაქტიული, რათა განავითაროს, წაახალისოს და მხარი დაუჭიროს შვილობილობის და ოჯახზე დაფუძ-ნებული ზრუნვის სხვა ფორმების მზარდ ხელმისაწვ-დომობასა და გამოყენებას?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა თემის საჭიროებების შესაბამისად და თემზე დაფუძ-ნებული შვილობილობის სისტემის განვითარებას?

.. იძლევა თუ არა ეროვნული პოლიტიკა მშვილებლებსა და შვილობილობის უზრუნველმყოფ ორგანიზაციებთან შესაბამისი და გულწრფელი კონსტულტაციების გავლის საშუალებას, რათა მათ შესაბამის პოლიტიკაზე იქონიონ გავლენა?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა, რომ ინსტიტუციური ზრუნვა საკმარისად ინდივიდუალური ზრუნვის საშუალებას იძლევა - პატარა ჯგუფებში, კვალიფიციური და საკმარისი რაოდენობის თანამშრომლებით?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა დამცავ მექანიზმებს, რათა ინსტიტუციური ზრუნვა მხოლოდ შესაბამის პირობებში იყოს გამოყენებული და რომ მზრუნველების მიერ ბავშვის მიღების აქტიური მცდელობა, მაგალითად, დაფინანსების უზრუნველსაყოფად, აიკრძალოს?

113 როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი, ყველა უწყებამ და დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვებთან პირდაპირი კონტაქტის მქონე მზრუნვე-ლებმა და სხვა თანამშრომლებმა სამსახურში აყვანამდე შესაბამისი და ყოვლისმომცველი შეფასება გაიარონ, რათა დადგინდეს, თუ რამდენად შესაფერისები არიან ისინი ბავშვებთან სამუშაოდ.

114 უწყებებსა და დაწესებულებებში დასაქმებული მზრუნველების სამუშაო პირობები, მათ შორის ანაზღაურება, უნდა იყოს იმგვარი, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მოტივაცია, სამსახურით კმაყოფილება და სამსახურში დარჩენის სურვილი და, შესაბამისად, მზრუნველების განწყობა, მაქსიმალურად შესაბამისად და ეფექტურად შეასრულონ საკუთარი როლი.

115 მშობელთა ზრუნვას მოკლებული ბავშვების უფლებების და განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების (გადაუდებელი განთავსების ან ჩვეული საცხოვრებელი გარემოს გარეთ განთავსების ქვეშ მყოფი ბავშვები) სპეციფიკური საჭიროებების შესახებ ტრენინგი ყველა მზრუნველმა უნდა გაიაროს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მზრუნველთა კულტურული, სოციალური, გენდერული და რელიგიური განსხვავებულობა. სახელმწიფოებმა ამ დებულებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით მსგავსი პროფესიონალები შესაბამისი რესურსებით უნდა უზრუნველყონ და მათ აღიარებას შეუწყონ ხელი.

116 რთულ ქცევასთან გამკლავების, მათ შორის, კონფლიქტის მოგვარების მეთოდებისა და დაზიანების ან თვით-დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ ტრენინგი უწყებებისა და დაწესებულებების ყველა მზრუნველმა უნდა გაიაროს.

117 სადაც მიზანშეწონილია, უწყებებმა და დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მზრუნველების მზადყოფნა, რეაგირება მოახდინონ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, განსაკუთრებით აივ/შიდსით ან სხვა ქრონიკული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დაავადების შემთხვევაში და ფიზიკურად ან გონებრივად უნარშეზღუდული ბავშვების შემთხვევაში.

2. შვილობილობა

118 უფლებამოსილმა ორგანომ ან უწყებამ უნდა განსაზღვროს სისტემა და შესაბამისად გადაამზადოს თანამშრომლები, რათა მათ ბავშვის საჭიროებების პოტენციური მშვილებლების შესაძლებლობებსა და რესურსებთან შესაბამება და ამ პროცესისათვის ყველა მხარის მომზადება შეძლონ.

119 ალტერნატიული ზრუნვის ყველა განმხორ-ციელებელს თითოეული ბავშვის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის მკაფიო პოლიტიკა უნდა გააჩნდეს, რომელსაც ყველა მზრუნველი იცნობს და ემორჩილება.

120 მშვილებლებისათვის სპეციალური მომზადების,

მხარდაჭერის და ფსიქოლოგიური დახმარების მომსახურება უნდა შემუშავდეს და რეგულარული ინტერვალებით უნდა მიეწოდოს განთავსებამდე, განთავსებისას და განთავსების შემდეგ.

121 შვილობილობის უწყებებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან ურთიერთობის სხვა ინსტიტუტების ფარგლებში, მზრუნველებს პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

122 მშვილებლების ასოციაციების შექმნა უნდა წახალისდეს, რაც ურთიერთდახმარებას და პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გ. ინსტიტუციური დაწესებულებები

123 ინსტიტუციური დაწესებულებები უნდა იყოს პატარა, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული და მაქსიმალურად მიახლოებული ოჯახურ ან პატარა ჯგუფის მდგომარეობას. ზოგადად, მათი მიზანი დროებითი ზრუნვის აღმოჩენა და ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციის აქტიური მხარდაჭერა უნდა იყოს; ან, თუ ეს შეუძლებელია, ალტერნატიულ ოჯახურ გარემოში ბავშვზე სტაბილური ზრუნვის უზრუნველყოფა - შვილად აყვანის ან ისლამური სამართლის კაფალას საშუალებით, სადაც ეს მიზანშეწონილია.

124 აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა გატარდეს ზომები, რომ ბავშვი, რომელიც მხოლოდ დაცვას და ალტერნატიულ ზრუნვას საჭიროებს სისხლის სამართლებრივი სისტემის ქვეშ მყოფი ბავშვებისაგან განცალკევებით განთავსდეს.

125 უფლებამოსილმა ეროვნულმა ან ადგილობრივმა უწყებამ ინსტიტუციაში ბავშვის მიღების პროცედურის მკაცრი შემოწმება უნდა დააწესოს, რათა უზრუნველყოს, ბავშვის მიღება მხოლოდ შესაბამის შემთხვევებში.

126 სახელმწიფოებმა ინსტიტუციურ დაწესებულებაში მზრუნველების საკმარისი რაოდენობა უნდა უზრუნველყონ, რათა ბავშვებს საკმარისი ინდივიდუალური ყურადღება დაეთმოს და, სადაც შესაძლებელია, ბავშვს კონკრეტულ მზრუნველზე დამოკიდებულების განვითარების შესაძლებლობა ჰქონდეს. მზრუნველები დაწესებულებაში იმგვარად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, რომ დაწესებულების მიზნები და ამოცანები ეფექტურად განახორციელონ და ბავშვის დაცვა უზრუნველყონ.

127 კანონმდებლობა, პოლიტიკა და რეგულაციები უწყებების, დაწესებულებებისა და ცალკეული პირების მიერ მათთან განთავსებისათვის ბავშვების მოზიდვას უნდა კრძალავდეს.

დ. შემოწმება და მონიტორინგი

128 ზრუნვის განხორციელებაში ჩართული უწყებები, დაწესებულებები და პროფესიონალები კონრეტული საჯარო ორგანოს წინაშე უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულები, რომელმაც ხშირი შემოწმებები უნდა უზრუნველყოს - როგორც განრიგის მიხედვით, ასევე მოულოდნელი ვიზიტები, თანამშრომლებთან და ბავშვებთან დისკუსია და მათზე დაკვირვება.

129 მაქსიმალური შესაძლებლობის და მიზანშეწონილობის ფარგლებში, შემოწმების ფუნქცია ზრუნვის განმხორციელებელთა გადამზადებასა და შესაძლებლობათა განვითარების კომპონენტს უნდა მოიცავდეს.

130 სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ სტიმული, უზრუნველყონ მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის არსებობა, ადამიანის უფლებების დამცველი ეროვნული ინსტიტუტების სტატუსის პრინციპის (პარიზის პრინციპის) გათვალისწინებით. მონიტორინგის მექანიზმი ბავშვებისთვის, მშობლებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვზე პასუხისმგებელი პირებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) ალტერნატიული ზრუნვის ყველა ფორმის ქვეშ მყოფ ბავშვებთან პირისპირი კონსულტაცია, ბავშვებზე ზრუნვის პირობების მონახულება და ამ პირობებში ბავშვების უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოძიება - საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით;

ბ) მშობელთა ზრუნვას მოკლებული ბავშვების მოპყრობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის რეკომენდაციების მიწოდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოპყრობა ბავშვის დაცვის, ჯანრთელობის დაცვის, განვითარებისა და ზრუნვის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა;

გ) ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ანგარიშგების პროცესისასთვის დამოუკიდებელი მასალის მიწოდება, მათ შორის, წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპების შესრულების შესახებ ბავშვის უფლებების დაცვის კომიტეტის წინაშე წარსადგენი სახელმწიფო ანგარიშებისთვისაც.

ე. ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვების შემდგომი მხარდაჭერა

131 უწყებებსა და დაწესებულებებს უნდა გააჩნდეთ მკაფიო პოლიტიკა და უნდა განახორციელონ შეთანხმებული პროცედურები, რომელიც ბავშვებთან მათი მუშაობის გეგმიურ და არაგეგმიურ დასასრულს ეხება, რათა ზრუნვიდან გასულ ბავშვებზე შემდგომი დაკვირვება და მათთან კავშირი უზრუნველყონ. ზრუნვის პერიოდის განმავლობაში, ისინი სისტემატურად ბავშვებისათვის საკუთარ თავზე დამოკიდებულების სწავლებასა და მათ თემში სრულ ინტეგრაციას უნდა ისახავდნენ მიზნად - სოციალური და ცხოვრებისეული უნარების გამომუშავების გზით,

ზრუნვის სისტემიდან გასასვლელად ბავშვის მომზადება და შემდგომი მხარდაჭერა

ზრუნვის სისტემიდან ახალგაზრდების გასვლისას წარმოქმნილი სირთულეების გათვალისწინებით, წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ზრუნვის სისტემიდან გასასვლელად ბავშვის მომზადების და შემდგომი მხარდაჭერის ჩარჩოს გვთავაზობს.

ეროვნული პოლიტიკა:

.. ითვალისწინებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ბავშვთან კონსულტაციით ზრუნვიდან გასვლის დროულად დაგეგმვის საჭიროებას?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა ზრუნვის განმხორციელებლებს, უზრუნველყონ ზრუნვიდან გასასვლელი ბავშვების ხელმისაწვდომობა ფორმალურ და პროფესიულ განათლებაზე, ცხოვრებისეული უნარების ტრენინგზე და დამოუკიდებელი მომავლისათვის აუცილებელ სხვა შესაძლებლობებზე?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა სპეციფიკური რესურსების გამოყოფას, მაგალითად, კონკრეტული პირი, რომელიც ზრუნვიდან გასასვლელად მომზადების პროცესში და შემდგომ ბავშვს რჩევით დაეხმარება?

.. მხარს უჭერს თუ არა ეროვნული პოლიტიკა, რომ ალტერნატიული ზრუნვის განმხორციელებლებმა ზრუნვიდან გასული ბავშვების მიმართ ე.წ. "ღია კარის" პოლიტიკა აწარმოონ, ანუ ბავშვებს ყოფილ მზრუნველებთან სტუმრობა და კონტაქტის შენარჩუნება შეეძლოთ?

რომელიც ადგილობრივი თემის ცხოვრებაში მონაწილეობით განმტკიცდება.

132 ზრუნვიდან ზრუნვის შემდგომ საფეხურზე გადასვლის პროცესმა ბავშვის სქესი, ასაკი, მოწიფულობა და სპეციფიკური პირობები უნდა გაითვალისწინოს და, ექსპლუატაციის თავიდან აცილების მიზნით, ფსიქოლოგიურ დახმარებასა და მხარდაჭერას უნდა მოიცავდეს. ზრუნვიდან გამსვლელმა ბავშვებმა ზრუნვის შემდგომი ცხოვრების დაგეგმვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს, როგორიცაა უნარშეზღუდული ბავშვები, შესაბამისი მხარდაჭერის სისტემით სარგებლობა უნდა შეეძლოთ, მათ შორის, არასაჭირო ინსტიტუციონალიზაცია თავიდან უნდა იყოს აცილებული. ზრუნვის სხვადასხვა მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების, განსაკუთრებით, უნარშეზღუდული ბავშვების, დასაქმებისათვის საჯარო და კერძო სექტორისათვის გარკვეული წამახალისებელი მექანიზ-+მები და სტიმული უნდა არსებობდეს.

133 სადაც შესაძლებელია, საგანგებო ძალისხმევა უნდა დაეთმოს თითოეული ბავშვისათვის სპეციალური ადამიანის მიმაგრებას, ვინც ზრუნვიდან გასვლისას ბავშვის დამოუკიდებლობას შეუწყობს ხელს.

134 ზრუნვის შემდგომი პირობები ჯერ კიდევ ზრუნვის ქვეშ ყოფნისას რაც შეიძლება ადრე უნდა მომზადდეს და ყველა შემთხვევაში, ბავშვის ზრუნვიდან გასვლამდე დიდი ხნით ადრე.

135 მიმდინარე საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების შესაძლებლობა ზრუნვიდან გამსვლელი ახალგაზრდებისათვის ცხოვრებისეული უნარების შეძენის პროცესის ნაწილი უნდა იყოს, რათა მათ ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საკუთარი შემოსავლის გამომუშავებაში დაეხმაროს.

136 ზრუნვიდან გამსვლელი და გასული ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა სოციალური, იურიდიული და ჯანდაცვის მომსახურეობაზე, ასევე შესაფერისი ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო-ფილი უნდა იყოს.

VIII. ზრუნვა სამშობლოდან იმიგრირებულ ბავშვებზე

ა. ზრუნვის მისაღებად ბავშვის საზღვარგარეთ გადაყვანა

137 წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპები ყველა საჯარო და კერძო უწყებას და პირს ეხება, ვინც ზრუნვის მისაღებად ბავშვის საზღვარგარეთ გადაყვანაში არის ჩართული, იქნება ეს სამედიცინო მომსახურების მისაღებად, დროებით, თუ ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო.

138 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მასპინძელ ქვეყნებში დაწესებულ სტანდარტებთან მზრუნველების შერჩევის კრიტერიუმებზე, ზრუნვის ხარისხსა და შემდგომი შემოწმების შესაბამისობაზე, ასევე მსგავსი სქემების მოქმედების ზედამხედველობასა და მონიტორინგზე პასუხისმგებლობა კონკრეტულ უწყებას დააკისრონ.

139 შესაბამისი საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფის და მსგავს შემთხვევებში ბავშვის დაცვის მიზნით, სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, შეუერთდნენ ან რატიფიცირება გაუკეთონ 1996 წლის 19 ოქტომბრის ჰაგის კონვენციას მშობლების პასუხის-მგებლობის და ბავშვის დაცვის ღონისძიებების მიზნით იურისდიქციის, შესაბამისი კანონმდებლობის, აღიარების, აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ.

B. საზღვარგარეთ მყოფ ბავშვზე ზრუნვის უზრუნველყოფა

140 წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპები, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო დებულებები, ყველა საჯარო და კერძო უწყებას და პირს ეხება, ვინც ნებისმიერი მიზეზის გამო ზრუნვის მისაღებად ბავშვის საზღვარგარეთ გადაყვანაში მონაწილეობს.

141 მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვები, რომლებიც უკვე საზღვარგარეთ არიან, დაცვისა და ზრუნვის არსებითად ისეთივე დონით უნდა სარგებლობდნენ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე ბავშვები.

142 ზრუნვის შესაბამისი ფორმის განსაზღვრისას, მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვების მრავალფეროვნება და განსხვავებულობა (ეთნიკური წარმომავლობა, წარმოშობის ქვეყანა, კულტურული ან რელიგიურ მრავალფეროვნება) სათითაო შემთხვევის განხილვისას უნდა იყოს გათვალისწინებული.

143 მარტო მყოფ ან განცალკევებულ ბავშვებს, მათ შორის მათ, ვინც ქვეყანაში არარეგულარულად ჩამოდის, მხოლოდ ქვეყანაში შემოსვლისა და დარჩენის წესების დარღვევისათვის თავისუფლება არ უნდა აღეკვეთოთ.

144 ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები პოლიციამ არ უნდა დააკავოს და იძულების წესით უკანონო საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო არ უნდა დაისაჯონ.

145 მარტო მყოფი ბავშვის იდენტიფიკაციისთანავე, სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, სტატუსის განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვს დაუნიშნონ მეურვე, ან, საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლობა ბავშვზე ზრუნვასა და მის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას დაეკისროს.

საზღვარგარეთ მყოფი ბავშვები

წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპები ხაზს უსვამს, რომ საზღვარგარეთ მყოფი ბავშვები მიმღებ ქვეყანაში ზრუნვისა და დაცვის იგივე დონით უნდა სარგებლობდნენ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე ბავშვები.

ეროვნული პოლიტიკა:

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა საბაჟოსა და საიმიგრაციო სამსახურების თანამშრომელთა შესაბამის გადამზადებას, რათა მათ საზღვარგარეთ მყოფი ბავშვის საჭიროებებზე რეაგირებისას საჭირო სენსიტიურობა გამოავლინონ?

.. ავალდებულებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა შესაბამის და მონაწილე უწყებებსა და დეპარტამენტებს, როგორიცაა საიმიგრაციო სამსახური, სოციალური სამსახური და პოლიცია, სისტემატური კავშირი ჰქოდენთ ერთმანეთთან?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა პასუხისმგებელი პირის ან უწყების დანიშვნას, რომელიც ზრუნვასა და/ან იმიგრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ბავშვის წარმომადგენლობას და მხარდაჭერას განახორციელებს?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა, რომ საზღვარგარეთ მყოფი ბავშვებისათვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმები ბავშვის ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ წამომავლობას შეესაბამება და ითვალის-წინებს?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა დიპლომატიური ან სხვა საგამოძიებო არხების გამოყენების გზით, წარმოშობის ქვეყანაში ბავშვის დაბრუნებამდე ან ოჯახთან გაერთიანებამდე რისკის შეფასებას?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა საკმარისი დამცავი მექანიზმების არსებობას, რათა სხვა მდგრადი ღონისძიებების გატარებამდე, როგორიცაა გაშვილება, ბავშვის მშობლებთან, ოჯახთან და სხვა ჩვეულ მზრუნველებთან გაერთიანების ყველა მცდელობა ამოიწუროს?

146 მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვის ზრუნვის ქვეშ მოთავსებისთანავე, მისი ოჯახის მოსაძებნად და ოჯახური ჯავშირების აღსადგენად ყველა ღონისძიება უნდა გატარდეს, როცა ეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს და ამ პროცესში ჩართულებს საფრთხეს არ უქმნის.

147 ბავშვის უფლებების მაქიმალურად დაცვის პრინციპით მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვის მომავლის დაგეგმვისას, შესაბამისი სახელმწიფო და სოციალური სამსახურის ორგანოები ყველანაირად უნდა ეცადონ, მოიპოვონ ინფორმაცია და დოკუმენტაცია წარმოშობის ქვეყანაში ბავშვის რისკის და სოციალური და ოჯახური პირობების შესაფასებლად.

148 მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვები მათი წარმოშობის ქვეყანაში არ უნდა დაბრუნდნენ:

ა) თუ, რისკისა და უსაფრთხოების შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვის უსაფრთხოება შიეძლება საფრთხის ქვეს დადგეს;

ბ) მანამ, სანამ წარმოშობის ქვეყანაში შესაბამისი მზრუნველი, როგორიცაა მშობელი, სხვა ნათესავი, სხვა მოზრდილი მზრუნველი ან სახელმწიფო უწყება და ავტორიზირებული უწყება ან დანესებულება არ დათანხმდება და არ შეეძლება ბავშვზე პასუხის-მგებლობის აღება და ბავშვისთვის შესაბამისი ზრუნვისა და დაცვის უზრუნველყოფა;

გ) თუ, სხვა მიზეზების გამო, უფლებამოსილი უწყების მიერ ჩატარებული შეფასების შედეგად დადგინდება, რომ ეს ბავშვის ინტერესებიდან არ გამომდინა-რეობს.

149 ზემოხსენებული მიზნების გათვალისწინებით, სახელმწიფოებს, რეგიონებს, ადგილობრივ ხელისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ასოციაციებს შორის თანამშრომლობას ხელი უნდა შეეწყოს, გაძლიერდეს და განმტკიცდეს.

150 საკონსულო მომსახურების, ან, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, წარმოშობის ქვეყნის კანონიერი წარმომადგენლის ეფექტური ჩართულობა გათვალისწინებული უნდა იყოს, როცა ეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს და ბავშვს ან მის ოჯახს საფრთხეს არ შეუქმნის.

151 მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელმა პირებმა და უწყებებმა ბავშვსა და მის ოჯახს შორის რეგულარულ კომუნიკაციას უნდა შეუწყონ ხელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის სურვილს ეწინააღმდეგება ან მისი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს.

152 მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვის გაშვილება ან ისლამური სამართლის კაფალა შესაფერის პირველად ალტერნატივად არ უნდა იყოს განხილული. სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, ეს ალტერნატივა მხოლოდ მას შემდეგ განიხილონ, რაც ბავშვის მშობლების, მისი ოჯახის ან ჩვეული მზრუნველების ადგილსამყოფელის დადგენის ღონისძიებები ამოიწურება.

IX. ზრუნვა საგანგებო მდგომარეობის დროს

ა. სახელმძღვანელოს პრინციპების გამოყენება

153 წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპები ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების, მათ შორის საერთაშორისო და შიდა შეიარაღებული კონფლიქტების და საგარეო ოკუპაციის დროსაც უნდა მოქმედებდეს. საგანგებო მდგომარეობის დროს მშობელთა ზრუნვას მოკლებული ბავშვების სახელით მომუშავე ორგანიზაციებს მოვუწოდებთ, წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპებთან შესაბამისად იმუშავონ.

154 მსგავს შემთხვევებში, სახელმწიფო ან დე ფაქტო ხელისუფლება, საერთაშორისო საზოგადოება და ყველა ადგილობრივი, ეროვნული, უცხოური და საერთაშო-რისო სააგენტო, რომელიც ბავშვებზე ორიენტირებულ მომსახურებას ეწევა ან აპირებს, მსგავსი მომსახურება გასწიოს, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იყოს, რათა;

ა) უზრუნველყოს, რომ მარტო მყოფ ან განცალკევებულ ბავშვთან ურთიერთობის მქონე ყველა უწყება და პირი არის სათანადოდ გამოცდილი, მომზადებული, მოხერხებული და აღჭურვილი;

ბ) შეიმუშავოს, როგორც საჭიროა, დროებითი და გრძელვადიანი ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვის ფორმები;

გ) გამოიყენოს ინსტიტუციური მზრუნველობა როგორც მხოლოდ დროებითი ღონისძიება მანამ, სანამ ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა არ შემუშავდება;

დ) აკრძალოს ახალი ინსტიტუციის დაფუძნება, რომელიც ბავშვების დიდ ჯგუფზე ზრუნავს - როგორც დროებით, ასევე გრძელვადიანი პერსპექტივაში;

ე) აღკვეთოს ბავშვების საზღვრებს მიღმა გადა-ადგილება, გარდა 160-ე პარაგრაფში აღწერილი შემთხვევებისა;

ვ) სავალდებულო გახადოს თანამშრომლობა ოჯახის მოძიებისა და ოჯახთან რეინტეგრაციის მიზნით.

ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენცია

155 ორგანიზაციებმა და ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ოჯახისგან ან პირველადი მზრუნველისგან ბავშვის განცალკევება არ მოხდეს, თუ ეს ბავშვის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს; და უნდა უზრუნველყონ, რომ ოჯახების ნაცვლად მხოლოდ ბავშვებისათვის მომსახურებისა და ბენეფიტების მიწოდების გამო მათი ქმედებები ირიბად ოჯახის განცალკევებას არ უწყობდეს ხელს.

156 ბავშვის მშობლების ან სხვა პირველადი მზრუნველის მიერ ინიცირებული განცალკევება შემდეგნაირად უნდა აღიკვეთოს:
ა) ძირითად საკვებზე და მედიკამენტებზე და სხვა მომსახურებაზე, მათ შორის, განათლებაზე, ხელი ყველა ოჯახს უნდა მიუწვდებოდეს;
ბ) ინსტიტუციური ზრუნვის განვითარება უნდა შეიზღუდოს და მხოლოდ აბსოლუტური საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული.

ბ. მზრუნველობის ფორმები

157 ადგილობრივ კონტექსტში ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის საკითხების მონიტორინგისა და რეაგირების პროცესში თემებს უფრო აქტიური როლის შესასრულებლად ხელი უნდა შეეწყოს.

158 ბავშვის თემის შიგნითვე ბავშვზე ზრუნვა, მათ შორის, შვილობილობა, უნდა წახალისდეს, რადგან ეს სოციალიზაციისა და განვითარების განგრძობადობას უზრუნველყოფს.

159 ვინაიდან მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვი ძალადობის და ექსპლუატაციის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება, მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებული უნდა იყოს მზრუნველების მონიტორინგი და მხარდაჭერა.

160 ალტერნატიული ზრუნვის მიზნით საგანგებო მდგომარეობის დროს ბავშვები სხვა ქვეყანაში არ უნდა გადაიყვანონ, გარდა ჯანმრთელობის, სამედიცინო ან უსაფრთხოების მიზეზებით გამოწვეული დროებითი შემთხვევებისა. ასეთ შემთხვევაში, ეს ბავშვის სახლთან რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს, მათ თან მშობელი ან მათთვის ნაცნობი მზრუნველი უნდა ახლდეს და დაბრუნების მკაფიო გეგმა უნდა შემუშავდეს.

161 გარკვეული პერიოდის განმავლობაში ოჯახთან რეინტეგრაციის შეუძლებლობის შემთხვევაში ან თუ ეს ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩაითვლება, უნდა გამოიძებნოს სტაბილური და მყარი გადაწყვეტა, როგორიცაა გაშვილება ან ისლამური სამართლის კაფალა; თუ ეს ვერ მოხერხდა, სხვა გრძელვადიანი ალტერნატივები უნდა იყოს განხილული, როგორიცაა შვილობილობა ან ინსტიტუციური ზრუნვის ქვეშ მოთავსება, მათ შორის - ჯგუფური სახლები და ზედამხედველობის ქვეშ არსებული სხვა საცხოვრებელი პირობები.

ბავშვები საგანგებო მდგომარეობის დროს

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ყველა საგანგებო მდგომარეობის დროს უნდა იყოს გამოყენებული და ნებისმიერი სხვა მუდმივი ალტერნატივის გატარებამდე მთავარ მიზანს ბავშვების მოკვლევა და მათი მაქსიმალურად ოჯახთან გაერთიანება უნდა წარმოადგენდეს.

ეროვნული პოლიტიკა:

.. მოითხოვს თუ არა ეროვნული პოლიტიკა საგანგებო შემთხვევებში დახმარების აღმომჩენი ადგილობრივი და საერთაშორისო უწყებებისგან, იქონიონ მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ოჯახებისა და თემის ერთიანად მხარდაჭერას და ბავშვების დაცვასა და მათზე ზრუნვას ითვალისწინებს?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან განცალკევებული ბავშვების რეგისტრაციის ზედამხედველობას, რათა მოპოვებული მონაცემები იყოს კონფიდენციალური, საიდუმლო და ოჯახთან გაერთიანების მიზნით გამოყენებული?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა თემზე დაფუძნებული ზრუნვის სხვადასხვა ფორმების განვითარებას, რომელიც პასუხობს იმ ბავშვების განსხვავებულ საჭიროებებს, ვისი ოჯახთან გაერთიანება შეუძლებელია?

.. უზრუნველყოფს თუ არა ეროვნული პოლიტიკა საკმარის დამცავ მექანიზმებს, რათა სხვა მდგრად გადაწყვეტილებაზე, მაგალითად, გაშვილებაზე, ყურადღების შეჩერება მხოლოდ ბავშვების ოჯახთან გაერთიანების ყველა ძალისხმევის ამოწურვის შემდეგ მოხდეს?

გ. ოჯახის მოკვლევა და რეინტეგრაცია

162 ნებისმიერ საგანგებო შემთხვევაში მარტო მყოფი ან განცალკევებული ბავშვის იდენტიფიცირება, რეგისტრაცია და დოკუმენტაცია პრიორიტეტს წარმოადგენს და რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს.

163 რეგისტრაცია ამ სფეროში გამოცდილების მქონე და ამ სფეროზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების და ამისთვის საგანგებოდ გამოყოფილი უწყებების მიერ ან მათი პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ უნდა ხორციელდებოდეს.

164 შეგროვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული უნდა იყოს და ინფორმაციის უსაფრთხოდ გადაცემისა და შენახვის სისტემები უნდა არსებობდეს. ინფორმაცია მხოლოდ ოჯახის მოკვლევის, რეინტეგრაციის და ზრუნვის მიზნით შესაბამისი მანდატების მქონე უწყებებს შორის უნდა გაზიარდეს.

165 ოჯახის წევრების ან ძირითადი კანონიერი ან ჩვეული მზრუნველების მოკვლევის პროცესში ჩართული ყველა პირი და უწყება კოორდინირებულად უნდა მოქმედებდეს, იყენებდეს სტანდარტულ ფორმებს და ურთიერთშესაბამის პროცედურას, სადაც ეს შესაძლებელია. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მოქმედება ბავშვს და სხვებს საფრთხეს არ შეუქმნის.

166 ურთიერთობების ვალიდურობა და ბავშვის და ოჯახის წევრების სურვილი, გაერთიანდნენ, ყველა ბავშვის შემთხვევაში უნდა გადამოწმდეს. არცერთმა ქმედებამ, როგორიცაა გაშვილება, სახელის შეცვლა ან ოჯახის სავარაუდო ადგილმდებარეობიდან მოშორებულ ადგილას გადაყვანა, ოჯახთან შესაძლო რეინტეგრაციას საფრთხე არ უნდა შეუქმნას, მანამ, სანამ ოჯახის მოკვლევის ყველა ღონე არ ამოიწურება.

167 ბავშვის განთავსების ყველა ჩანაწერი უნდა გაკეთდეს და შეინახოს უსაფრთხო და საიდუმლო პირობებში, რათა მომავალში ოჯახის გაერთიანებისათვის ხელის შეწყობა შესაძლებელი იყოს.

სასარგებლო ბმულები

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC):

კონვენციის სრული ტექსტი: http://www2.ohchr.org/english/law/crc.htm

საბავშვო ვერსია: http://www.unicef.org/voy/media/rights_leaflet.pdf
კონვენცია თქვენს ენაზე: http://www.unicef.org/voy/explore/rights/explore_2781.html

ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია http://www.africa-union.org/child/home.htm

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია(2005)5 ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების უფლებების შესახებ

http://www.coe.int/familypolicy (აირჩიეთ 'children in residential institutions'; ხელმისაწვდომია ინგლისურ, რუსულ, ბერძნულ, პოლონურ, ესტონურ, ლიტვურ, ისლანდიურ, ჩეხურ და სერბულ ენებზე)

“ხარისხი ბავშვებისათვის” სტანდარტი (Q4C) - http://www.quality4children.info

ევროპის საბჭო და SOS ბავშვთა სოფლები - საერთაშორისო: “ბავშვები და მოზრდილები ზრუნვის ქვეშ- აღმოაჩინე შენი უფლებები” -
http://www.coe.int/t/transversalprojects/children/News/enfants%20institution/text%20flyer_en.asp

საერთაშორისო ორგანიზაცია SOS ბავშვთა სოფელი - http://www.sos-childrensvillages.org

საერთაშორისო სოციალური სამსახური - http://www.iss-ssi.org/

ბავშვის უფლებების კონვენციაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფი -
http://www.childrightsnet.org/

ბავშვის უფლებების საინფორმაციო ქსელი (CRIN) - http://www.crin.org

უკეთესი ზრუნვის ქსელი - http://crin.org/bcn/

გაეროს ბავშთა ფონდი (UNICEF) - http://www.unicef.org
უკეთესი ზრუნვის ქსელი და UNICEF: ფორმალური ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის ინდიკატორების გაზომვის სახელმძღვანელო

http://www.crin.org/BCN/details.asp?id=19618&themeID =1001&topicID =1011

მონაცემები გამოცემის შესახებ

გამომცემელი:
საერთაშორისო ორგანიზაცია
“ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი”
პროგრამის განვითარება
ჰერმან გ. მაინერის ქ. №51
6020 ინსბრუკი, ავსტრია
ტელ: +43/1/310 23 98
ფაქსი: +43/1/3 10 23 98 20 ელ. მისამართი:
ელ. მისამართი: lao@sos-kd.org
www.sos-childrensvillages.org

პასუხისმგებელი პირები:
შინაარსი - ქრისტიან პოში
გრაფიკული დიზაინი:
საერთაშორისო ორგანიზაცია “ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი”

გენერალური ასამბლეის რეპროდუქციის ნებართვა (A/ RES/64/142) უფასოდ გაიცემა გაეროს მიერ.

კომერციული გამოყენება ნებადართული არ არის.

გამოცემის თარიღი: 2010 წლის ნოემბერი

WWW.SOS-CHILDRENSVILLAGES.ORG

SOS CHILDREN'S VILLAGES
GEORGIA